


იოანეს სახარება



ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი

სტოკჰოლმი

1993



ი ღ ა ნ ე ს ს ა ხ ა რ ე ბ ა

თ ა ვ ი 1

თავდაპირველად იყო სიტყვა

1 თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან,
და სიტყვა იყო ღმერთი. იგავ.8,22. 1იოან.1,1-2.

2 ის იყო თავდაპირველად ღმერთთან.

3 ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და მის გარეშე არაფერი
შექმნილა, რაც კი შექმნილა. დაბ.1,3. ფსალ.22,6.

4 მასში იყო სიკოცხლე და სიკოცხლე იყო აღამიანთა
ნათელი.

5 ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი.

იოან.3,19.

იოანე ნათლისმცემლის მოწმობა იესოზე

6 იყო კაცი, მოვლინებული ღვთისგან, სახელი მისი იყო
იოანე. მათ.3,1.

7 იგი მოვიდა დასამოწმებლად, რათა დაემოწმებინა ნათლის
შესახებ, რათა ყველას ერწმუნა მისი მეშვეობით.

8 იგი არ იყო ნათელი, არამედ რათა დაემოწმებინა ნათლის
შესახებ.

9 იყო ნათელი ჰესიარიტი, რომელიც გაუნათებს წუთისოფ-
ლად მომსვლელ ყოველ აღამიანს. ეს.60,1.

10 იყო წუთისოფელში და წუთისოფელი მის მიერ შეიქმნა,
და წუთისოფელმა ვერ იცნო იგი.

11 თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს იგი.

მათ.15,24.

12 ხოლო ვინც კი მიიღო იგი და ირწმუნა მისი სახელი, მისცა მათ ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა.

რომ.8,15. გალ.3,26.

13 ისინი იშვნენ არა სისხლისაგან, არა ხორცის ნდომისაგან, არა მამაკაცის ნდომისაგან, არამედ ღვთისაგან.

14 სიტყვა გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე. და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისაგან მხოლოდ შობილის დიდება.

მათ.1,16;17,2. 2კორ.3,9. ეფეს.2,11.

15 იოანე მოწმობს მასზე და ღალადებს: „ეს იყო, რომელზეც ვთქვი: ჩემს შემდეგ მომავალი, ჩემზე უპირატესია, ვინაიდან ჩემზე უწინ იყო. მათ.3,11.

16 მისი სისავსიდან მივიღეთ ყველამ, მაღლი მაღლისა წილ.

ეფეს.1,6. კოლ.1,19.

17 ვინაიდან რჯული მოცემულია მოსეს მიერ, ხოლო მაღლი და ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მიერ იქმნა.“ გამოს.20,1. რომ.3,24.

იოანე უთითებს ღვთის კრაგზე

18 ლმერთი არასიროს არავის უნახავს. მხოლოდ შობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, გააცხადა. გამოს.33,20. იოან.4,12. 1ტიმ.6,16.

19 აპა, მოწმობა იოანესი, როდესაც იუდეველებმა გაუგზავნეს იერუსალიმიდან მღვდელნი და ლევიანები, რათა ეკითხათ მისთვის: „ვინ ხარ შენ?“ იოან.5,33.

20 მან აღიარა და არ უარყო, აღიარა: „მე არა ვარ ქრისტე.“

იოან.3,28. საქ.13,25.

21 ჰეითხეს მას: „მაშ ვინ, ელია ხარ?“ მან თქვა: „არა ვარ.“ „წინასწარმეტყველი ხარ?“ მიუგო: „არა.“

22 მაშინ უთხრეს მას: „ვინა ხარ, რომ პასუხი გავცეთ ჩვენს წარმომგზავნელთ: რას იტყვი შენზე?“

23 მან თქვა: „მე ვარ ხმა მღალადებლისა უდაბნოში: მოუსწორეთ გზა უფალს, როგორც თქვა ესაია წინასწარმეტყველმა.“

ეს.40,3. მათ.3,3. მარ.1,3. ლუკ.3,4.

24 წარმომგზავნილები კი ფარისეველთაგან იყვნენ.

25 ჰეითხეს მას: „აბა, რაღატომ ნათლავ, თუ არც ქრისტე ხარ, არც ელია, არც წინასწარმეტყველი?“

26 მიუგო იოანემ პასუხად: „მე ვნათლავ წყალში, მაგრამ თქვენს შორის დგას, ვისაც ვერ იცნობთ:

27 ის ჩემს შემდეგ მოღის, მაგრამ მე მისი სანდლის თასმის შეხსნის ლირსიც არა ვარ.“

28 ეს მოხდა ბეთანიაში, იორდანეს გაღმა, სადაც იოანე ნათლავდა.

29 მეორე დღეს იხილა მან მისკენ მომავალი იესო და თქვა: „აპა, ღვთის კრაგი, რომელიც იღებს წუთისოფლის ცოდვას.“

გამოს.12,3. ეს.53,7.

30 ეს არის, ომელზეც ვთქვი: ჩემს შემდეგ მოდის კაცი, ომელიც ჩემზე უპირატესია, ვინაიდან ჩემზე უწინ იყო-მეთქი.

31 მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ იმიტომ მოვედი წყალში სანათლავად, ომი ის გამოეცხადოს ისრაელს.“ მარ.1,4.

32 მოწმობდა იოანე და ამბობდა: „მე ვიხილე ციდან მტრე-დივით გარდმომავალი სული და დაივანა მასზე.“

მათ.3,16. მარ.1,10. ლუკ.3,22. იოან.6,27.

33 მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ვინც მომავლინა წყალში სანათლავად, მან მითხრა: ‘ვისზეც დაინახო სული, გარდმო-მავალი და დავანებული, ის არის სულიწმიდით ნათლისმცემელი.’

34 მე დავინახე და დავამოწმე, ომ ეს არის ძე ღვთისა.“

35 მეორე დღეს კვლავ იდგა იოანე და ორი მისი მოწაფეთაგანი.

36 დაინახა მომავალი იესო და თქვა: „აჰა, ღვთის კრავი.“

37 ორმა მოწაფემ გაიგონა მისი სიტყვა და გაჰყევა იესოს.

38 იესო მობრუნდა, დაინახა, ომ მიჰყებიან, და უთხრა მათ: „რას ეძებთ?“ ხოლო მათ უთხრეს: „რაბი (რაც თარგმანით ნიშნავს: მოძღვარო), სად ცხოვრობ?“

39 უთხრა მათ: „წამოდით და ნახავთ.“ წავიდნენ და ნახეს, საღაც ცხოვრობდა. ის დღე მასთან დაჰყევეს. იქნებოდა დაახლო-ებით მეათე საათი.

40 ერთი ამ ორთაგანი, ომელმაც იოანესგან მოისმინა და გაჰყევა მას, იყო ანდრია, ძმა სიმონ-პეტრესი.

41 მან პირველად თავისი ძმა სიმონი ნახა და უთხრა: „ჩვენ ვიპოვეთ მესია,“ (რაც თარგმანით ნიშნავს ქრისტეს).

42 მიიყვანა იგი იესოსთან. შეხედა მას იესომ და უთხრა: „შენ ხარ სიმონი, იოანეს ძე. ამიერიდან შენ გერქმევა კეფა (რაც თარგმანით ნიშნავს კლდეს).“ მათ.16,18.

43 მეორე დღეს მოისურვა გალილეას წასვლა, იპოვა ფილიპე და უთხრა იესომ: „გამომყევი“. ფს.39,8. ეს.4,2;7,14;9,6;40,11;53,1. იერ.23,5;33,14. ეზეკ.34,23;37,24. ზაქ.9,9.

44 ხოლო ფილიპე ბეთსაიდიდან იყო, ანდრიას და პეტრეს ქალაქიდან.

45 ფილიპემ იპოვა ნათანაელი და უთხრა: „ჩვენ ვნახეთ ის, ვისზეც წერდა რჯულში მოსე და აგრეთვე წინასწარმე-ტყველნი: იესო, იოსების ძე, ნაზარეთიდან.“

ფს.39,8. ეს.4,2;7,14;9,6;40,11;53,1. იერ.23,5;33,14. ეზეკ.34,23;37,24. ზაქ.9,9.

46 უთხრა მას ნათანაელმა: „განა ნაზარეთიდან რაიმე სიკეთე შეიძლება იყოს?“ ფილიპემ უთხრა: „წამო და ნახე“. ფილიპემ უთხრა: „წამო და ნახე“.

47 იესომ ომ დაინახა მისკენ მიმავალი ნათანაელი, თქვა მასზე: „აჰა, ჭეშმარიტი ისრაელიანი, ვისშიც არ არის მზაკვრობა.“

48 ნათანაელმა ჰკითხა: „საიდან მიცნობ?“ იესომ მიუგო: „ვიდრე ფილიპე დაგიძახებდა, ლელვის ქვეშ მყოფი, დაგინახე.“

49 ნათანაელმა უპასუხა მას: „რაბი, შენ ხარ ძე ღვთისა, შენ ხარ ისრაელის მეფე.“

50 მიუგო იესომ და უთხრა: „შენ იმის გამო გწამს, რომ გითხარი, ლელვის ჭვეშ დაგინახე-მეთქი? ამაზე მეტს იხილავ.“

51 უთხრა მას: „ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად გეუბნებით ოქვენ: ამიერიდან იხილავთ გახსნილ ცას და ლვთის ანგელოზებს, კაცის ძეზე აღმავალთა და ჩამომავალთ.“ დაბ.28,12.

თ ა ვ ი 2

პირველი სასწაული კანაში

1 მესამე დღეს ქორწილი იყო გალილეის კანაში და იესოს დედაც იქ იყო.

2 იესო და მისი მოწაფეებიც იყვნენ მიწვეულნი ქორწილში.

3 როცა ლვინო შემოაკლდათ, იესოს დედამ უთხრა მას: „ლვინო ალარა აქვთ.“

4 იესომ უთხრა მას: „რა გინდა ჩემგან, დედაყაცო? ჩემი უამი ჯერ არ დამდგარა.“

5 დედამისმა უთხრა მსახურებს: „გააკეთეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით.“

6 იქ იყო ექვსი ქვის ჭურჭელი, იუდეველთა საწესო განწმე-დისთვის, თითოში ორი ან სამი საწყაული ჩადიოდა.

7 უთხრა მათ იესომ: „აავსეთ წყლით ეგ ჭურჭლები.“ და მათაც აავსეს პირთამდე.

8 უთხრა მათ: „ახლა ამოიღეთ და მიართვით სუფრის გამრიგეს!“ და მიართვეს.

9 როდესაც სუფრის გამრიგემ გემო უნახა ლვინოდ ჭკეულ წყალს (არ იცოდა საიდან იყო ეს, იცოდნენ მხოლოდ მსახუ-რებმა, რომლებმაც ამოიღეს წყალი), მაშინ სუფრის გამრიგემ დაუძახა ნეფეს

10 და უთხრა: „ყველა კაცი ჯერ კარგ ლვინოს ჩამოდგამს, ხოლო როცა შეთვერებიან, მდარეს. შენ კი აქამდე ინახავდი კარგ ლვინოს.“

11 ასე დაიწყო იესომ სასწაულების მოხდენა გალილეის კანაში და გამოავლინა თავისი დიდება. და ირწმუნეს მისმა მოწაფეებმა.

12 ამის შემდეგ ჩავიდა კაპერნაუმს, ის და დედამისი, ძმები და მისი მოწაფეები, და იქ დარჩა რამდენიმე დღეს.

ტაძრიდან ვაჭრების გარეკვა

13 ახლოვდებოდა იუდეველთა პასექი და იესო ავიდა იერუსალიმს. 2შპ.16,1.

14 ნახა ტაძარში ხარების, ცხვრების და მტრედების გამყი-დველნი და მსხდომარე მეკერმენი. მათ.21,12. მარ.11,16. ლუკ.19,45.

15 გააკეთა საბლის შოლტი და გამორეკა ტაძრიდან ყველა,

აგრეთვე ხარებიც და ცხვრებიც, ფულის გადამცვლელებს ფული დაუბნია და მაგიდები აუყირავა.

16 მტრედების გამყიდველებს უთხრა: „გაიყვანეთ ესენი აჭე-
დან და მამაჩემის სახლს ნუ გახდით სავაჭრო სახლად.“

17 მის მოწაფეებს გაახსენდათ, რომ დაწერილია: „შენი სახ-
ლის შური შემჭამს მე.“ ფსალ.68,10.

მისი სხეული ტაძარია

18 მიუგეს მაშინ იუდეველებმა და უთხრეს: „რა ნიშანს
გვიჩვენებ; ამას რომ აკეთებ?“

19 მიუგო იესომ და უთხრა მათ: „დაანგრიეთ ეს ტაძარი და
სამ დღეში აღვადგენ მას.“ მათ.26,61;27,40; მარ.14,58;15,29.

20 იუდეველებმა უთხრეს: „ეს ტაძარი ორმოცდაექვს წელი-
წადს შენდებოდა და შენ სამ დღეში აღადგენ მას?“

21 ის კი თავისი სხეულის ტაძარზე ლაპარაკობდა.

22 როცა ის მკვდრეთით აღდგა, მისმა მოწაფეებმა გაიხსენეს,
ამას რომ ამბობდა, და იწამეს წერილი და სიტყვა, რომელიც
იესომ თქვა. ფსალ.15,8. ეს.55,3. მათ.17,23. საქ.2,25;13,34.

დაინახეს მისი სასწაული, ბევრმა ირწმუნა

23 ხოლო, როცა იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე იყო,
ბევრმა ნახა მის მიერ მოხდენილი სასწაულები და იწამა მისი
სახელი.

24 თვითონ იესო არ ანდობდა მათ თავის თავს, ვინაიდან ყვე-
ლას იცნობდა. მათ.9,4. მარ.2,8.

25 არც სჭირდებოდა, რომ ვინმეს დაემოწმებინა კაცზე რაღ-
გან იცოდა რა იყო კაცში. ფსალ.7,10. იერ.11,20. იოან.6,64.

თ ა ვ ი 3

ნიკოდემოსი იესოსთან. მაღლიდან შობაზე

1 ფარისევლებს შორის იყო ერთი კაცი, სახელად ნიკოდე-
მოსი, იუდეველთა მთავარი. იოან.7,50;19,39.

2 იგი ლამით მივიღა მასთან და უთხრა: „რაბი, ჩვენ ვიცით,
რომ შენ ხარ მოძლვარი, ღვთისაგან მოსული, ვინაიდან არავის
ძალუს ისეთი სასწაულების მოხდენა, როგორსაც შენ ახდენ,
თუ მასთან ლმერთი არ არის.“

3 მიუგო იესომ და უთხრა მას: „ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად
გეუბნები შენ: ვინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ღვთის
სასუფეველს.“ იაკ.1,18. 13ეტ.1,23. 2კორ.5,17. გალ.6,15. ტიტ.3,5.

4 ნიკოდემოსმა უთხრა მას: „როგორ შეუძლია კაცს იშვას,
თუ იგი მოხუცია? ნუთუ შეძლებს თავისი დედის მუცელში
მეორედ შევიდეს და იშვას?“

5 მიუგო იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში.

6 ხორცისაგან შობილი ხორცია და სულისაგან შობილი სულია.

რომ.8,5.

7 ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: თქვენ ხელახლა უნდა იშვათ-მეთქი.

8 ქარი ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი.“

კოლ.3,3.

9 ნიკოლემოსმა მიუგო და უთხრა მას: „როგორ შეიძლება მოხდეს ეს?“

10 მიუგო იესომ და უთხრა მას: „შენ ისრაელის მოძღვარი ხარ და განა ეს არ იცი?“

11 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვლაპარაკობთ იმაზე, რაც ვიცით, და ვმოწმობთ, რაც გვინახავს, მაგრამ თქვენ არ ღებულობთ ჩვენს მოწმობას.

12 თუ მიწიერზე გითხარით და არ გწამთ, როგორ იწამებთ, ზეციერზე რომ გითხრათ?

13 არავინ ასულა ცაში, გარდა ციდან ჩამოსული კაცის ძისა, რომელიც ზეცაშია.

იგ.30,4. ითან.6,62.

14 როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამაღლდეს კაცის ძე.

რიც.29,9. ითან.12,32.

15 რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

16 ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისკა თავისი მხოლოდ შობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

ეს.9,6. მარ.16,16. ითან.6,40. 1ითან.4,9-10.

17 რაღვან იმიტომ კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე წუთისოფლად, რომ განეკითხა წუთისოფელი, არამედ გაღარჩენილიყო მის მიერ.

18 ვისაც ის სწამს, არ განიკითხება, ხოლო ვისაც არ სწამს, უკვე მსჯავრდადებულია, რაღვან არ ირწმუნა ღვთის მხოლოდ შობილი ძის სახელი.

19 განკითხვა კი ის არის, რომ ნათელი მოვიდა წუთისოფელში და აღამიანებმა ნათელზე მეტად ბნელი შეიყვარეს, ვინაიდან ბოროტი იყო მათი საქმენი.

ითან.1,5;8,12.

20 ვინაიდან ყველას, ვინც ბოროტებას სჩაღის, სძულს ნათელი და არ მიღის ნათლისკენ, რათა არ იქნეს მხილებული მისი საქმენი.

21 ხოლო ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისკენ მიღის, რათა ცხადი გახდეს მისი საქმეები, რაღვან ღმერთშია ქმნილი.“

ითანე ნათლისმცემელი ისევ მოწმობს იესოზე

22 ამის შემდეგ იესო თავის მოწაფეებთან ერთად მივიდა იუდას ქვეყანაში, იქ დარჩა მათთან და ნათლავდა.

23 იოანე კი ნათლავდა ენონში, სალიმის მახლობლად, ვინაიდან ბევრი წყალი იყო იქ და მოდიოდნენ და ინათლებოდნენ.

24 ვინაიდან იოანე ჯერ კიდევ არ იყო საპყრობილები ჩაგდებული.

25 მაშინ იოანეს მოწაფეებსა და იუდეველებს შორის დავა ჩამოვარდა განწმედის გამო.

26 მივიღნენ იოანესთან და უთხრეს: „რაბი, ის, ვინც შენთან იყო იორდანეს გალმა, და რომლის შესახებაც შენ მოწმობდი, აჟა, ის ნათლავს და ყველანი მასთან მიღიან.“ იოან.1,27.

27 მიუგო იოანემ და უთხრა: „ადამიანს არათრის მიღება არ შეუძლია, თუ ციდან არა აქვს მიცემული. იოან.1,20. საქ.13,25.

28 თქვენ თვითონ დამემოწმებით, რომ ვთქვი: მე არა ვარ ქრისტე, არამედ მოვლენილი ვარ მის წინ.

29 ვისაც საკოლე ჰყავს, ის სიძეა, ხოლო სიძის მეგობარი, რომელიც დგას და უსმენს მას, სიხარულით ხარობს სიძის ხმაზე. ეს ჩემი სიხარული უკვე აღსრულდა. მათ.22,2. ეფეს.5,25.27.

30 ის უნდა იზრდებოდეს, მე კი ვმცირდებოდე.

31 მალლიდან მომავალი ყველაზე მაღლაა, ხოლო ვინც მიწიდან არის, მიწიერია, და მიწის შესახებ ლაპარაკობს. ციდან მომავალი კი ყველაზე მაღლაა. იოან.8,23. რომ.9,5. ეფეს.1,21.

32 რაც მან იხილა და მოისმინა, იმას მოწმობს და მის მოწმობას არავინ ღებულობს. იოან.8,26.

33 ვინც მიიღო მისი მოწმობა, დაბეჭდა, რომ ღმერთი ჰეშმარიტია. 1იოან.5,10. რომ.3,4.

34 რაღგან ის, ვინც ღმერთმა მოავლინა, ღვთის სიტყვებს ლაპარაკობს. ვინაიდან ღმერთი ვამოზომით არ იძლევა სულს. იოან.1,16. ეფეს.4,7.

35 მამას უყვარს ძე და ყველაფერი მას მისცა ხელთ.

დან.7,14. მათ.28,18.

36 ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო ურჩი ძისა ვერ იხილავს სიცოცხლეს, არამედ ღვთის რისხვა დარჩება მასზე.“ ამბ.2,4.

თ ა ვ ი 4

ღმერთი არის სული

1 როდესაც უფალმა შეიტყო, რომ ფარისევლებს გაეგოთ, იესო უფრო მეტ მოწაფეებს იძენს და ნათლავს, ვიდრე იოანეო, იოან.3,26.

2 (თუმცა ნათლავდა არა თვით იესო, არამედ მისი მოწაფენი),

3 დატოვა მან იუდეა და კვლავ გალილეას წავიდა.

4 მას სამარიაზე უნდა გაევლო.

5 ამრიგად, მივიღა სამარიელთა იმ ქალაქში, სიქარი რომ ეწოდება, იმ მინდვრის მახლობლად, რომელიც იაკობმა მისცა თავის ძეს იოსებს. დაბ.33,19;48,22. ისუ 5.24,32.

6 იქ იყო იაკობის ჭი. გზით დაქანცული იესო წყაროსთან ჩამოჯდა. ასე ექვსი საათი იქნებოდა.

7 მოვიდა დედაკაცი სამარიიდან წყლის ამოსალებად. იესომ უთხრა მას: „წყალი დამალევინე,“

8 რაღვან მისი მოწაფენი ქალაქში იყვნენ წასული საჭმელის საყიდლად.

9 უთხრა მას სამარიელმა დედაკაცმა: „როგორ მოხოვ შენ, იუდეველი, სამარიელ დედაკაცს დამალევინეო? რაღვან იუდეველებს არა აქვთ ურთიერთობა სამარიელებთან.“ 4მფ.17,24. ლუკ.9,53.

10 მიუგო იესომ და უთხრა მას: „შენ რომ იცოდე ღვთის ნიჭი და ის, ვინც გეუბნება, წყალი დამალევინეო, მაშინ შენ თვითონ სთხოვდი მას და ისიც მოგცემდა ცოცხალ წყალს.“ ეს.12,3;44,3. ზაქ.14,8.

11 უთხრა დედაკაცმა: „ბატონო, არც ასავსები ჭურჭელი გაქვს და ეს ჭიც ლრმაა. საიდან გაქვს ცოცხალი წყალი?“

12 ნუთუ შენ მეტი ხარ ჩვენს მამა იაკობზე, რომელმაც ეს ჭი გვიბოძა, და თვითონაც აქედან სვამდა, მისი ძენიც და მისი საქონელიც?“

13 მიუგო იესომ და უთხრა მას: „ყველას, ამ წყლის მსმელს, კვლავ მოსწყურდება.

14 ხოლო ვინც დალევს წყლიდან, რომელსაც მე მივცემ მას, საუკუნოდ არ მოსწყურდება. რაღვან წყალი, რომელსაც მე მივცემ, მასში გადაიქცევა წყლის წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იღინებს.“

15 უთხრა დედაკაცმა: „ბატონო, მომეცი ის წყალი, რომ ალარ მომწყურდეს და ალარც წყლის ამოსალებად მოვიდე აქ.“

16 უთხრა მას: „წარი, მოუხმე შენს ქმარს და მოდი აქ.“

17 მიუგო დედაკაცმა და უთხრა: „მე არ მყავს ქმარი.“ იესომ უთხრა: „მართალი თქვი: მე ქმარი არა მყავსო.
18 რაღვან ხუთი ქმარი გყავდა და ის, ვინც ახლა გყავს, არც ისაა შენი ქმარი. ეს მართალი თქვი.“

19 უთხრა დედაკაცმა: „ბატონო, ვხედავ, რომ წინასწარმეტყველი ხარ.
20 ჩვენი მამები ამ მთაზე სცემდნენ თაყვანს, თქვენ კი ამბობთ, იერუსალიმშია აღგილი, საღაც უნდა სცემდნენ თაყვანს.“ 2შპ.12,6;16,6. 3მფ.9,3.

21 უთხრა იესომ: „დედაკაცო, მერწმუნე დგება უამი, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში თაყვანს ალარ სცემთ მამას.
22 თქვენ არ იცით, რას სცემთ თაყვანს. ჩვენ კი ვიცით, რას ვცემთ თაყვანს, რაღვან ხსნა იუდეველთაგანაა.“

23 მაგრამ დგება უამი და უკვე აქ არის, როდესაც ჰეშმარიტი თაყვანისმცემელნი თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჰეშმარიტებით, რაღან მამაც სწორედ ასეთ თაყვანისმცემლებს ეძებს თავისთვის.

24 ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელნი თაყვანს უნდა სცემლნენ სულითა და ჰეშმარიტებით.“ 2შჯ.3.17. ფილ.3.3.

25 უთხრა დედაკაცმა: „ვიცი, რომ მოდის მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე. ის რომ მოვა, ყველაფერს გაგვიცხადებს.“

26 უთხრა მას იესომ: „მე ვარ, რომელიც გელაპარაკება შენ.“

27 ამ დროს მოვიდნენ მისი მოწაფეები და გაუკვირდათ, რომ იგი დედაკაცთან საუბრობდა, მაგრამ არც ერთს არ უთქვამს: რას ეძიებ ან რას ელაპარაკებიო მას.

28 მაშინ დედაკაცმა დატოვა თავისი ჭურჭელი, წავიდა ქალაქში და უთხრა ხალხს:

29 „წარით, ნახეთ კაცი, რომელმაც ყველაფერი მითხრა, რაც კი რამ ჩამიღენია. იგი ხომ არაა ქრისტე?“

30 გამოვიდნენ ქალაქიდან და წავიდნენ მასთან.

მომწიფდა სამკალად

31 ამასობაში მოწაფეებმა სთხოვეს მას და უთხრეს: „რაბი, ჟამე!“

32 ხოლო მან უთხრა მათ: „მე მაქვს საჭმელი, რომელიც თქვენ არ იცით.“

33 ამიტომ მოწაფეებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს: „ნუთუ მას საჭმელი მოუტანა ვინმემ?“

34 უთხრა მათ იესომ: „ჩემი საჭმელია – ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და აღვასრულო მისი საქმე.“

35 განა თქვენ არ ამბობთ, რომ კიდევ ოთხი თვე, და დადგება მკა? აჲა, მე გვუბნებით თქვენ: აახილეთ თვალები და შეხედეთ ყანებს, როგორ გადათეთრებულან სამკალად. მათ.9.37. ლუკ.10.2.

36 მომკელი ღებულობს თავის საზღაურს და მოაგროვებს ნაყოფს საუკუნო სიცოცხლისათვის, ისე რომ, მთესველი და მომკელი ერთად გაიხარებენ.

37 ამგვარად, ჰეშმარიტია ანდაზა: ერთი თესავს და სხვა იმკისო.

38 მე თქვენ მიგავლენთ იმის მოსამკელად, რაზედაც არ გიშრომიათ. სხვებმა იშრომეს, თქვენ კი მათ შრომაში შემოხვედით.“

სამარიელებმა იწამეს იესო

39 ბევრმა იმ ქალაქში მცხოვრებმა სამარიელმა ირწმუნა იგი იმ დედაკაცის სიტყვით, რომელიც ამოწმებდა: ყველაფერი მითხრა, რაც ჩამიღენია.

40 ამიტომ, როდესაც მოვიღნენ მასთან სამარიელები, სოხოვეს, მათთან დარჩენილიყო, და იგი ორ დღეს დარჩა იქ.

41 კიდევ მრავალმა ირწმუნა მისი სიტყვის გამო.

42 უთხრეს იმ დედაკაცს: „უკვე გვწამს არა შენი ნათქვამის გამო, არამედ თვითონ მოვუსმინეთ და ვიცით, რომ ჭეშარიტად ის არის წუთისოფლის მხსნელი.“

43 ორი დღე რომ გავიდა, წამოვიდა იქიდან გალილეაში.

მათ.4,12. მარ.1,14.

44 რაღვან თავად იესო მოწმობდა, რომ წინასწარმეტყველს თავის სამშობლოში არა აქვს პატივი. მათ.13,57. მარ.6,4. ლუკ.4,24.

45 როცა გალილეაში მივიდა, გალილეველებმა მიიღეს იგი, რაკი ყველაფერი ნახეს, რაც მოიმოქმედა იერუსალიმში დღესა-სწაულზე, რაღვან ისინიც ესწრებოდნენ დღესასწაულს.

დიდებულის შვილის განკურნება კაპერნაუმში

46 ასე რომ, იესო კვლავ მივიდა გალილეის კანაში, საღაც წყალი ღვინოდ აქცია. და იყო იქ ერთი აზნაური, რომელსაც შვილი ჰყავდა ავად კაპერნაუმში. იოან.2,11.

47 როგორც კი გაიგო, იესო მოსულა იუდეიდან გალილეაში, მივიდა მასთან და შეევედრა, წაჰყოლოდა და განეკურნა მისი შვილი, რაღვან სიკვდილის პირას იყო.

48 უთხრა მას იესომ: „არ ირწმუნებთ, თუკი ნიშნებსა და სასწაულებს არ იხილავთ.“

49 უთხრა მეფის მოხელემ: „უფალო, წამოდი სანამ ჩემი შვილი არ მომკვდარა.“

50 უთხრა იესომ: „წალი, ცოცხალია შენი შვილი.“ იმ კაცმა ირწმუნა იესოს ნათქვამი სიტყვა და წავიდა.

51 შინ რომ ბრუნდებოდა, მისი მსახურები მიეგებნენ მას და უთხრეს, რომ მისი ვაჟი ცოცხალი იყო.

52 მან ჰქითხა, თუ რომელ საათზე გამომჯობინდა. უთხრეს: გუშინ მეშვიდე საათზე გაუარაო სიცხემ.

53 ამით მიხვდა მამა, რომ ეს ის საათი იყო, როცა იესომ უთხრა: ცოცხალია შენი შვილი. და ირწმუნა მან და მთელმა მისმა სახლმა.

54 ეს მეორე სასწაული მოახდინა იესომ მას აქეთ, რაც იუდეიდან გალილეაში დაბრუნდა.

თ ა ვ ი 5

იესო კურნავს ოცდათვრამეტი წლის სნეულს

1 ამის შემდეგ იუდეველთა დღესასწაული იყო და ავიდა იესო იერუსალიმს.

2 იერუსალიმში, ცხვრის ჭიშკართან, აუზია, რომელსაც ებრაულად ბეთ-ხასდა ეწოდება, და ხუთი სტო აქვს.

3 იქ იწვა ძალიან ბევრი სნეული, ბრმა, ხეიბარი და ჩამომხმარი, რომლებიც წყლის ამღვრევას ელოდნენ,

4 რაღაც ანგელოზი უფლისა ჩამოდიოდა დროდადრო აუზში და ამღვრევდა წყალს. ხოლო მას შემდეგ, რაც წყალი აიმღვრეოდა, ვინც პირველი ჩავიდოდა, განიკურნებოდა, რა სენითაც არ უნდა ყოფილიყო შეპყრობილი.

5 აქ იყო კაცი, ოცდათვრამეტი წლის ტანჯული თავისი სნეულებით.

6 იესომ იხილა იგი მწოლარე და შეატყო, რომ უკვე დიდი ხანია სნეულია, უთხრა: „გსურს განიკურნო?“

7 ავადმყოფმა მიუგო: „უფალო, კაცი არა მყავს, წყლის შემღვრევისას რომ ჩამიშვას აუზში. მანამ მე მივალ, სხვა მასწრებს.“

8 იესომ უთხრა: „ადექი, აიღე შენი სარეცელი და გაიარე.“

9 იგი მაშინვე გაჯანსაღდა. აიღო თავისი სარეცელი და გაიარა. იმ დღეს შაბათი იყო.

10 ამიტომ იუდეველებმა უთხრეს განკურნებულს: „დღეს შაბათია. ნება არა გაქვს სარეცლის აღებისა.“ იერ.17,22.

11 მან მიუგო: „ვინც განმკურნა, მან მითხრა: აიღე შენი სარეცელი და გაიარეო.“

12 ჰკითხეს, ვინაა ის კაცი, ვინც გითხრა: აიღე და გაიარეო?

13 განკურნებულმა არ იცოდა, ვინ იყო, რაღაც იესო იმ აღგილზე მყოფ ბრძოს შეერია.

14 ამის შემდეგ იესო ტაძარში შეხვდა მას და უთხრა: „აპა, შენ გაჯანსაღდი, ნულარ შესცოდავ, რათა რაიმე უარესი არ დაგემართოს.“

15 ის კაცი წავიდა და იუდეველებს უთხრა, რომ იესოა მისი განმკურნავი.

16 იუდეველებმა დევნა დაუწყეს იესოს იმის გამო, რომ შაბათს ასეთი რამ გააკეთა.

17 მან კი მიუგო მათ: „მამაჩემი აქამდე ასე აკეთებს და მეც ვაკეთებ.“ იოან.9,4;14,10.

18 ამიტომ იუდეველებმა მით უფრო დაუწყეს ძებნა მოსაკლავად, რაღაც არა მარტო შაბათი გატეხა, არამედ ღმერთს საკუთარ მამად იხსენებდა და თავს ღმერთს უტოლებდა. იოან.7,30.

მოწმობა იოანესი

19 ამაზე იესომ მიუგო მათ და უთხრა: „ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, თუ არ უხილავს, რასაც მამა აკეთებს, რაღაც რასაც ის აკეთებს, ძეც იმასვე აკეთებს.“

20 რაღაც მამას უყვარს ძე და, რასაც აკეთებს, ყველაფერს უჩვენებს მას. ამაზე უფრო დიდ საქმეებსაც აჩვენებს მას, ისე რომ გაგიკვირდებათ.

21 რაღვან, როგორც მამა ალაზგენს მკვდრებს და აცოცხლებს, ასევე ქეც აცოცხლებს მას, ვინცა სურს.

22 რაღვან მამა არავის არ სჯის, არამედ მთელი სამსჯავრო ძეს გადასცა, მათ.28,18. საქ.17,31. 13ეტ.4,5.

23 რათა ყველამ სცეს პატივი ძეს, როგორც მამას სცემენ პატივს. ვინც ძეს არ სცემს პატივს, ის არც მამასა სცემს პატივს, რომელმაც იგი მოავლინა. 1იოან.2,23.

24 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ჩემი მომავლინებელი სწამს, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე და სამსჯავროზე არ მიღის, არამედ უკვე სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა.

25 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოღის უამი, და უკვე დაღვა კიდეც, როცა მკვდრები მოისმენენ ღვთის ძის ხმას და მსმენელნი გაცოცხლდებიან.

26 რაღვან, როგორც მამას აქვს სიცოცხლე თავის თავში, ასევე ძესაც მისცა, რათა ჰქონდეს სიცოცხლე თავის თავში.

27 სამართლის გაჩენაშიც ხელმწიფება მისცა მას, რაღვან კაცის ძეა იგი. დან.7,14.

28 ნუ გაიკვირვებთ ამას, რაღვან მოღის უამი, როდესაც ყველანი, ვინც სამარხებში არიან, მის ხმას მოისმენენ.

ეს.26,19. დან.12,2. 1კორ.15,52.

29 კეთილის მოქმედნი სიცოცხლის აღდგომისთვის გამოვლენ, სიავის მქნელნი კი – სამსჯავროს აღდგომისთვის.

მათ.25,46. გამოცხ.14,11.

30 ჩემით არაფრის გაკეთება არ შემიძლია. როგორც ვისმენ, ისე განვიკითხავ და ჩემი სამსჯავრო სამართლიანია, რაღვან მე ჩემს ნებას არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას. მათ.26,39.

31 თუ მე ვამოწმებ ჩემს თავზე, ჩემი მოწმობა არაა ჭეშმარიტი.

32 სხვა არის დამმოწმებელი ჩემს შესახებ და ვიცი, რომ ჭეშმარიტია ის მოწმობა, რომლითაც ის ამოწმებს ჩემს შესახებ. იოან.1,19.

33 თქვენ გაგზავნეთ იოანესთან და მან დაამოწმა ჭეშმარიტების შესახებ.

34 თუმცა ადამიანისგან არ ვიღებ მოწმობას, მაგრამ ამას კი იმიტომ ვამბობ, რომ თქვენ გაღარჩეთ.

35 იგი ანთებული და მანათობელი ლამპარი იყო, თქვენ კი გინდოდათ მის შუქზე გეხარათ ერთხანს.

36 მე კი მაქვს უფრო დიდი მოწმობა, ვიღრე იოანესია; რაღვან საქმენი, რომელნიც მამამ მომცა აღსასრულებლად, თვით ჩემს მიერ გაკეთებული საქმენი, ამოწმებენ ჩემს შესახებ, რომ მამამ მომავლინა. იოან.10,25.

37 და მამა, რომელმაც მე მომავლინა, მოწმობდა ჩემზე, თქვენ კი არასოდეს მოგისმენიათ მისი ხმა და არც ხატი გიხილავთ მისი. 2შვ.4,12. მათ.3,17.

38 მისი სიტყვა არა გაქვთ დამკვიდრებული თქვენში, რაღან არ გწამთ მისი მომავლინებლისა.

39 იკვლევთ წერილებს, რაღან გვინიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. ისინი კი ჩემს შესახებ მოწმობენ.

2შჯ.18,15. ეს.9,6;53,1.

40 თქვენ კი არ გსურთ ჩემთან მოსვლა, რათა სიცოცხლე გქონდეთ.

41 დიდებას არ ვლებულობ აღამიანთაგან,

42 მაგრამ მე გიცნობთ თქვენ: ლვთის სიყვარული არ არის თქვენში.

43 მე მოვედი მამაჩემის სახელით და არ მღებულობთ. თუ სხვა ვინმე მოვა თავისი სახელით, მას მიიღებთ.

44 როგორ შეგიძლიათ ირწმუნოთ, როდესაც ერთიმეორისაგან ლებულობთ დიდებას, ხოლო დიდებას ერთადერთი ლვთისაგან არ ეძებთ?

ითან.12,43.

45 ნუ ფიქრობთ, რომ მამის წინაშე დაგდებთ ბრალს. თქვენი ბრალმდებელი მოსეა, ვისი იმედიცა გაქვთ.

46 რაღან, თქვენ რომ მოსესი გწამდეთ, მეც მიწამებდით, ვინაიდან მან დაწერა ჩემს შესახებ.

დაბ.3,15;12,3;18,18;49,10. 2შჯ.18,15.

47 ხოლო, თუ მისი დაწერილისა არ გწამთ, როგორ იწამებთ ჩემს სიტყვებს?“

თ ა ვ ი 6

ხუთი ათასი კაცის დაპურება

1 ამის შემდეგ გავიდა იესო გალილეის ანუ ტიბერიის ზღვის გაღმა.

2 უამრავი ხალხი მოჰყვებოდა, რაღან იხილეს სასწაულები, რომლებსაც ის ახდენდა ავაღმყოფებზე.

3 იესო ავიდა მთაზე და იქ დაჯდა თავის მოწაფეებთან ერთად.

გამოს.12,18.

4 იუდეველთა დღესასწაული, პასექი, ახლოვდებოდა.

5 იესომ გაიხედა და დაინახა, რომ უამრავი ხალხი მოღიოდა მასთან. ფილიპეს უთხრა: „სად ვიყიდოთ პურები, ამათ რომ ვაჭამოთ?“

მათ.14,16. მარ.6,35. ლუკ.9,12.

6 ამას გამოსაცდელად ეუბნებოდა, თვითონ კი იცოდა, რასაც მოიმოქმედებდა.

7 ფილიპემ მიუგო: „ორასი დინარის პური არ ეყოფათ, რომ თითოეულ მათვანს ცოტაოდენი მაინც ერგოს.“

8 მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ, ანდრიამ, სიმონ-პეტრეს ძმამ, უთხრა მას:

9 „აქ არის ერთი ბიჭი, რომელსაც ხუთი ჭერის პური და ორი თევზი აქვს, მაგრამ ამდენ ხალხს ეს რას ეყოფა?“

10 უთხრა იესომ: „უთხარით ხალხს, დასხვინენ.“ ხოლო იმ ოდგილზე ხშირი ბალახი იყო. რიცხვით ხუთი ათასამდე კაცი დაჯდა.

11 იესომ აიღო პურები მაღლი შესწირა და ჩამოურიგა მოწაფეებს, მოწაფეებმა კი იქ მსხდომთ, ასევე ოვაზიც, ვისაც რამდენი უნდოდა.

12 როცა გაძლნენ, უთხრა თავის მოწაფეებს: „მოაგროვეთ მონარჩენი ნატეხები, რომ არაფერი არ დაიკარგოს.“

13 მოაგროვეს და აავსეს თორმეტი გოლორი იმ ხუთი ქერის პურის ნატეხებით, რაც ჭამის შემდეგ დარჩა. მარ.8,19.

14 მაშინ იესოს მიერ მოხდენილი სასწაულის მხილველმა ხალხმა თქვა: „ესაა ჰეშმარიტად ის წინასწარმეტყველი, რომელიც წუთისოფელში უნდა მოსულიყო.“ მათ.11,3.

წყალზე სიარული

15 რაკი იცოდა, რომ აპირებენ მოსვლას მის მოსატაცებლად, რათა გაემეფებინათ იგი, იესო კვლავ განმარტოვდა მთაზე.

16 როდესაც მოსალამოვდა, მისი მოწაფეები ზღვაზე ჩავიღნენ.

17 ავიღნენ ნავზე და გაემართნენ ზღვის გაღმა, კაპერნაუ-მისკენ. ჩამობნელდა და იესო ჯერაც არ მისულიყო მათთან.

მათ.14,22. მარ.6,47.

18 ძლიერი ჭარი ამოვარდა, ზღვა აღელდა.

19 ოცდახუთი თუ ოცდაათი სტადიონი რომ გასცურეს, იხილეს ზღვის ზედაპირზე იესო ნავს უახლოვდებოდა. და შეეშინდათ.

20 მან კი უთხრა მათ: „მე ვარ, ნუ გეშინიათ.“

21 უნდოდათ, ნავზე აეყვანათ იგი, და ნავი მაშინვე იმ მიწაზე აღმოჩნდა, საღაც მიღიოდნენ.

პური სიცოცხლისა

22 მეორე დღეს ზღვის გაღმა მდგომმა ხალხმა დაინახა, რომ იქ სხვა ნავი არ იყო, ვარდა ერთისა, რომელშიც მისი მოწაფეები ჩასხდნენ, და რომ არც იესო ჩამჯდარა ნავში თავის მოწაფეებთან ერთად, არამედ მხოლოდ მოწაფეებმა გაცურეს.

23 სხვა ნავებიც მოვიდა ტიბერიიდან იმ ოდგილის მახლობლად, საღაც ჭამეს პური მას შემდეგ, რაც უფალმა მაღლი შესწირა.

24 რაკი დაინახა ხალხმა, რომ იქ არც იესოა და არც მისი მოწაფეები, ჩასხდნენ ნავებში და მივიღნენ კაპერნაუმს იესოს საძებრად.

25 როდესაც იგი ზღვის გაღმა ნახეს, უთხრეს მას: „რაბი, როდის მოხვედი აქ?“

26 მიუგო იესომ და უთხრა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: იმიტომ კი არ მეძებთ მე, რომ სასწაული იხილეთ, არამედ იმის გამო, რომ პური ჭამეთ და გაძეხით.

27 ნუ ირჯებით ხრწნადი საზრდოსათვის, არამედ იმ საზრდოსათვის გაისარჯეთ, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისათვის, რომელსაც კაცის ძე მოგცემთ თქვენ, რაღვან მას დაასვა ბეჭედი მამა ღმერთმა.“ მათ.3,17. იოან.1,32;10,36.

28 უთხრეს მას: „როგორ მოვიჭიეთ, რომ ღვთის საქმენი ვაკეთოთ?“

29 მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ესაა საქმე ღვთისა, რომ იორწმუნოთ იგი, ვინც მან მოავლინა.“ იოან.17,3. 1იოან.3,23.

30 ამაზე უთხრეს მას: „რა ნიშანს იქმ, რომ ღავინახოთ და გერწმუნოთ? რას მოიმოქმედებ?“

31 ჩვენი მამები მანანას ჭამდნენ უდაბნოში, როგორც დაწერილია: ‘პური ზეცილან მისცა მათ საზრდოდ.’“ გამოს.16,14. რიცხ.11,7. ფსალ.77,24. 1ქორ.10,3.

32 უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოსემ კი არ მოგვათ პური ზეცილან, არამედ მამაჩემი გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეცილან.“

33 რაღვან ღვთის პური ისაა, რომელიც ზეცილან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს.“

34 მაშინ უთხრეს მას: „უფალო, მუდამ მოგვეცი ეს პური.“

35 იესომ უთხრა: „მე ვარ პური სიცოცხლისა. ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასდროს მოსწყურდება.“ იოან.4,14;7,37.

36 მე კი გითხარით, რომ კიდევაც მიხილავთ, მაგრამ არ იწამებთ.

37 ყველაფერი, რასაც მამა მაძლევს, ჩემთან მოვა. ჩემთან მოსულს გარეთ არ გავაძევებ.

38 რაღვან ზეცილან ჩემი ნების აღსასრულებლად კი არ ჩამოვედი, არამედ მისი ნებისა, ვინც მე მომავლინა. მათ.26,39. იოან.8,29.

39 ეს არის ნება იმისი, ვინც მე მომავლინა, რათა რაც მომცა, არაფერი დამეკარგოს, არამედ ყველაფერი აღვაღინო უკანასკნელ დღეს. იოან.10,28.

40 ჩემი მამის ნება ისაა, რომ ყველას, ვინც ძეს იხილავს და იორწმუნებს, საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს, და მე აღვაღენ მას უკანასკნელ დღეს.“

პეტრე აღიარებს იესოს ძედ ღვთისად

41 იუდევლები ღრტვინავდნენ მის გამო, რაღვან თქვა: „მე ვარ პური, ზეცილან ჩამოსული.“

42 ამბობდნენ: „ეს იესო არაა, იოსების ძე, რომლის მამას და დედას ვიცნობთ? როგორლა ამბობს: ზეცილან ჩამოვედიო?“

მათ.13,55.

43 მიუგო იესომ მათ: „ნუ დრტვინავთ ერთმანეთს შორის.

44 არავის შეუძლია ჩემთან მოსვლა, თუ იგი მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, არ მოიყვანა. მე მას აღვაღენ უკანასკნელ დღეს.

45 წინასწარმეტყველებს უწერიათ: ‘ყველა განისწავლება ღვთის მიერ.’ ყველა ვინც უსმენს მამას და სწავლობს, ჩემთან მოღის.

46 ისე კი არა, თითქოს ვინმეს ეხილოს მამა, გარდა იმისა, ვინც ღვთისგანაა, მხოლოდ მან იხილა მამა. მათ.11,27.

47 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს, მას საუკუნო სიცოცხლე აქვს.

48 მე ვარ პური სიცოცხლისა.

49 თქვენმა მამებმა ჭამეს მანანა უდაბნოში და დაიხოცნენ.

იოან.6,31.

50 ეს არის პური, ჩამომავალი ზეციდან, რათა კაცმა შეჭამოს იგი და არ მოკვდეს.

51 მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს. პური, რომელსაც გავცემ, ხორცია ჩემი, რომელსაც წუთისოფლის სიცოცხლისათვის გავცემ.“

52 იუდეველებმა დაიწყეს კამათი ერთმანეთში და ამბობდნენ: „როგორ შეუძლია, თავისი ხორცი მოგვცეს საჭმელად?“

53 იესომ უთხრა მათ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს და არ შესვამთ სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში. მათ.26,26.

54 ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს. და მე მას აღვაღენ უკანასკნელ დღეს.

55 რაღვან ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი ჭეშმარიტი სასმელი.

56 ჩემი ხორცის მჭამელი და ჩემი სისხლის შემსმელი ჩემში რჩება, და მე – მასში.

57 როგორც მე მომავლინა ცოცხალმა მამამ და მე მამით ვცოცხლობ, ასევე ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემით.

58 ეს არის ზეციდან ჩამოსული პური, ისეთი კი არა, თქვენმა მამებმა რომ ჭამეს მანანა და დაიხოცნენ. ამ პურის მჭამელი საუკუნოდ იცოცხლებს.“

59 ამას ამბობდა სინაგოგაში, როცა კაპერნაუმში ასწავლიდა.

60 ბევრი მის მოწაფეთაგანი ამის მოსმენისას ამბობდა: „მძიმე სიტყვაა, ვის შეუძლია მისი მოსმენა?“

61 იესომ იცოდა, რომ მისი მოწაფეები ბუზლუნებრნენ თავისთვის ამის გამო, და უთხრა მათ: „ეს გაცდუნებთ თქვენ?“

62 თუ კი იხილავთ კაცის ძეს იქ აღმავალს, სადაც წინათ იყო? მათ.26,64. იოან.3,13. ეფეს.4,8.

63 სული ცხოველმყოფელია, ხოლო ხორცი უსარგებლო. სიტყვები, რომლებიც გითხარით, სულია და სიცოცხლე.

რომ.8,2. 2კორ.3,6.

64 მაგრამ თქვენ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც არ სწამთ.“ რაღაც იესომ თავიდანვე იცოდა, ვინ არიან ურწმუნნი და ვინ არის მისი გამცემი.

მარ.2,8. იოან.2,24.

65 უთხრა: „ამიტომ გეუბნებოდით, რომ ჩემთან არავის შეუძლია მოსვლა, თუ მამისგან არ ექნება მიცემული.“

იოან.3,27.

66 მას შემდეგ ბევრი მისი მოწაფეთაგანი გაბრუნდა უკან და აღარ მისდევდა მას.

67 მაშინ იესომ უთხრა თორმეტს: „თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?“

68 სიმონ-პეტრემ უპასუხა: „უფალო, ვიღასთან წავიდეთ? საუკუნო სიცოცხლის სიტყვები შენა გაჭვს.“

69 ჩვენ ვიწამეთ და შევიცანით, რომ შენ ხარ ქრისტე, ღვთის წმიდა.“

მათ.16,16. მარ.8,29. ლუკ.9,20.

70 მიუგო იესომ: „თორმეტი არ აგირჩიეთ? ერთი თქვენგანი ეშმაკია.“

ლუკ.6,13.

71 ეს თქვა იუდა სიმონის ძეზე, ისკარიოტელზე, რაღაც მას, ერთ თორმეტთაგანს, უნდა გაეცა იგი.

თ ა ვ ი 7

იესოს ძმებსაც არ სწამთ მისი

1 ამის შემდეგ იესო გალილეაში დაღიოდა, რაღაც იუდეაში არ სურდა სიარული, რაკი იუდეველნი მოსაკლავად დაეძებდნენ მას.

2 ახლოვდებოდა იუდეველთა დღესასწაული, კარვობისა.

ლევ.23,34.

3 მაშინ მისმა ძმებმა უთხრეს მას: „წალი აქედან და მიღი იუდეაში, რათა შენმა მოწაფეებმაც იხილონ შენი საქმეები, რომელთაც აკეთებ,“

4 რაღაც ფარულად არავინ არაფერს აკეთებს, არამედ თავის გამოჩენას ეძებს. რაკი ასეთ საქმეებს აკეთებ, გამოეცხადე წუთისოფელს.

5 რაღაც მის ძმებსაც კი არ სწამდათ მისი.

6 ამაზე იესომ უთხრა მათ: „ჩემი უამი ჯერ არ მოსულა, თქვენი დრო კი მუდამ მზადაა.“

7 წუთისოფელს არ შეუძლია თქვენი შეძულება, მე კი ვძულვარ იმის გამო, რომ მე ვამოწმებ მასზე, რომ მისი საქმეები ბოროტია.

იოან.3,19.

8 თქვენ აღით იმ დღესასწაულზე. მე კი ჯერ არ ავალ ამ დღესასწაულზე, რაღაც ჩემი უამი ჯერ არ აღსრულებულა.“

9 ეს რომ უთხრა, დარჩა გალილეაში.

იესო ცხადად ასწავლის ტაძარში დღესასწაულზე

10 მაგრამ როდესაც მისი ძმები დღესასწაულზე ავიღნენ, მაშინ თვითონაც ავიდა, მხოლოდ არა გაცხადებულად, არამედ ფარულად.

11 იუდეველნი კი ეძებდნენ მას დღესასწაულზე და ამბობდნენ: სად არისო?

12 ხალხში ბევრი მითქმა-მოთქმა იყო მასზე: ერთნი ამბობდნენ, კეთილიაო იგი. მეორენი კი ამბობდნენ: არა, ხალხს აცდუნებსო. ითარებულობა

13 ოლონდ ცხადად არავინ არ ლაპარაკობდა მასზე, რადგან იუდეველებისა ეშინოდათ. ითარებულობა

14 მაგრამ შუა დღესასწაულზე ავიდა იესო ტაძარში და ასწავლიდა.

15 გაუკვირდათ იუდეველებს და თქვეს: „როგორ იცის წერილები უსწავლელად?“

16 მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ჩემი მოძლვრება ჩემი არაა, არამედ მისია, ვინც მე მომავლინა. ითარებულობა

17 ვისაც სურს აღასრულოს მისი ნება, იგი შეიტყობს ამ მოძლვრებას, ღვთისაგანაა იგი თუ ჩემით ვლაპარაკობ. ითარებულობა

18 ვინც თავისით ლაპარაკობს, საკუთარ დიდებას ეძებს. ხოლო ვინც ეძებს იმის დიდებას, ვინც იგი მოავლინა, ჭეშმარიტია და უსამართლობა არ არის მასში.

19 განა მოსემ არ მოგცათ რჯული? მაგრამ არც ერთი თქვენთაგანი არ ასრულებს რჯულს. რატომ მეძებთ მოსაკლავად?“ გამოს. 20, 1. ითარებულობა

20 მიუგო მას ხალხმა: „ეშმაკია შენში. ვინ გეძებს მოსაკლავად?“

21 უთხრა მათ იესომ: „ერთი საქმე გავაკეთე და ყველას გიკვირთ.

22 მოსემ მოგცათ წინადაცვეთა, თუმცა იგი მოსესგან კი არა, მამებისგანაა – და შაბათობით წინადაცვეთთ აღამიანს. დაბ. 17, 10. ლევ. 12, 3.

23 თუ აღამიანი წინადაცვეთას მიიღებს შაბათს, რათა მოსეს რჯული არ დაირღვეს, მე რაღად მირისხდებით იმის გამო, რომ შაბათს კაცი მთლიანად განვკურნე?

24 ნუ განსჯით შეხედულებით, არამედ სამართლიანი მსჯავრით განსაჯეთ.“ 2შჯ. 1, 17; 16, 19.

25 ზოგიერთი იერუსალიმელი ამბობდა: „ეს ის არაა, მოსაკლავად რომ ეძებენ?“

26 აჲა, იგი აშკარად ლაპარაკობს და ვერაფერს ეუბნებიან. ხომ არ დარწმუნდნენ მთავრები, რომ იგი ნამდვილად ქრისტეა?

27 მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით საიდანაცაა იგი. ხოლო ქრისტე რომ მოვა, არავის ეცოდინება, საიდან იქნება იგი.“ მათ. 13, 55.

28 მაშინ იესომ, ასწავლიდა რა ტაძარში, შესძახა და თქვა:

„მეც მიცნობთ და ჩემი წარმომავლობაც იცით. ჩემით არ მოვსულვარ. მაგრამ ჭეშმარიტის ჩემი მომავლინებელი, რომელ-
საც თქვენ არ იცნობთ.

ითან.8,42.

29 მე ვიცნობ მას, რაღან მისგან ვარ და მან მომავლინა.“

სიცოცხლის წყალზე

30 ამიტომ ეძიებდნენ მის შეპყრობას, მაგრამ ხელი ვერავინ დაადო მას, რაღან მისი უამი არ იყო მოსული. ითან.8,20.

31 ხალხიდან ბევრმა ირწმუნა იგი და თქვა: „როცა ქრისტე მოვა, განა იგი იმაზე მეტ სასწაულებს მოახდენს, რაც ამან მოახდინა?“

32 ფარისევლებმა მოისმინეს ხალხის ასეთი მითქმა-მოთქმა მასზე; და მსახურები გაგზავნეს მის შესაპყრობად მღვდელ-მთავრებმა და ფარისევლებმა.

33 იესომ კი თქვა: „მე კიდევ მცირე ხანს ვარ თქვენთან და წავალ მასთან, ვინც მე მომავლინა.“

34 ძებნას დამიწყებთ და ვერ მიპოვით. საღაც მე ვიქნები, იქ ვერ მოხვალთ.“ ითან.13,33.

35 იუდეველებმა ერთმანეთს უთხრეს: „საღ წავა იგი, რომ ვერ ვიპოვოთ? საბერძნეთში განთესილებთან ხომ არ წავა, რათა ბერძნებს ასწავლოს?“

36 ეს რა სიტყვაა, რომელიც თქვა: ძებნას დამიწყებთ და ვერ მიპოვით, საღაც მე ვიქნები, იქ ვერ მოხვალთო?“

37 დღესასწაულის უკანასკნელ დიღ დღეს აღგა იესო, შესძახა და თქვა: „თუ ვინმეს სწყურია, მოვიდეს ჩემთან და შესვას.“ ლევ.23,36. ითან.4,14. გამოცხ.22,17.

38 ვისაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, მისი მუც-ლიდან იღინებენ ცოცხალი წყლის მდინარეები.“ ეს.12,3. იოვ.3,18.

39 ეს მან იმ სულზე თქვა, მის მორწმუნებს რომ უნდა მიე-ლოთ, რაღან ჯერ არ იყო სული, რაკი იესო ჯერ განდიდებული არ იყო. ეს.44,3. იოვ.2,28. ზაქ.12,10. დან.2,17,33.

40 ხალხიდან ბევრმა ამ სიტყვების მოსმენისას თქვა: „ეს ჭეშმარიტად წინასწარმეტყველია.“

41 სხვები ამბობდნენ: „ეს ქრისტეა.“ სხვები კი ამბობდნენ: „განა გალილეიდან მოვა ქრისტე?“

42 განა წერილი არ ამბობს, რომ ქრისტე დავითის მოღვმი-დან მოვა, ბეთლემიდან, იმ დაბიდან, საიდანაც დავითი იყო?“ მიქ.5,2. მათ.2,6. ლუკ.2,4.

43 და ჩამოვარდა ხალხში განხეთქილება მის გამო. ითან.9,16.

44 ზოგიერთ მათგანს მისი შეპყრობა უნდოდა, მაგრამ ხელი ვერავინ დააკარა.

არასოდეს კაცს ისე არ ულაპარაკნია

45 მსახურნი მივიღნენ მღვდელმთავრებთან და ფარისევლე-
ბთან, მათ კი უთხრეს: „რატომ არ მოიყვანეთ იგი?“

46 მსახურებმა უპასუხეს: „არასოდეს კაცს ისე არ ულაპარაკია, როგორც ეს კაცი ლაპარაკობს.“

47 ფარისევლებმა უთხრეს: „ნუთუ თქვენც გაცდუნათ?“

48 ნუთუ მთავართაგან ან ფარისეველთაგან ვინმემ იწამა იგი?

49 მაგრამ ეს ხალხი, რომელმაც რჯული არ იცის, დაწყევლილია.“

50 უთხრა მათ ნიკოლემოსმა, რომელიც ღამით მივიღა მასთან, და ერთი იმათთაგანი იყო:

ითან.3,1.

51 „განა სდებს მსჯავრს ჩვენი რჯული აღამიანს, თუ წინასწარ მისგან არ მოისმინა და არ გაიგო, რაც მან ჩაიღინა?“

2შ.1,17;1,8.

52 უპასუხეს მას: „შენც გალილეიდან არა ხარ? გამოიკვლიე და ნახე, რომ გალილეიდან წინასწარმეტყველი არ აღდგება.“

53 ყველანი თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

თ ა ვ ი 8

მრუში დედაკაცის მიტევება იესოს მიერ

1 იესო ზეთისხილის მთისკენ გაემართა.

2 დილით კვლავ მივიღა ტაძარში. მთელი ხალხი მასთან მივიღა. დაჯდა და ასწავლიდა მათ.

3 მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მოიყვანეს ქალი, რომლისთვისაც მრუშობაზე წაესწროთ, და შუაში ჩააყენეს.

4 უთხრეს მას: „მოძღვარო, ეს ქალი მრუშობაზეა წასწრებული.“

5 მოსემ კი რჯულში მცნებად დაგვიდო ასეთების ჩაქოლვა. შენ რალას იტყვი?“

ლევ.20,10. 2შ.22,22.

6 ამას გამოსაცდელად ეუბნებოდნენ, რათა მისი საწინააღმდეგო ბრალდება ვქონოდათ. მაგრამ იესო ძირს დაიხარა და მიწაზე თითით წერდა.

7 რაკი დაუინებით ეკითხებოდნენ, გასწორდა და უთხრა მათ: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვა!“

8 კვლავ დაიხარა და განაგრძო წერა მიწაზე.

9 მოისმინეს რა სინდისმხილებულებმა, სათითაოდ გაიკრიბნენ, უხუცესებიდან დაწყებული, დარჩა მარტო იესო, და შუაში მდგომი ქალი.

10 გაიმართა იესო, ვერავინ დაინახა, იმ დედაკაცის მეტი, და უთხრა მას: „დედაკაცო, სად არიან შენი ბრალმდებელნი? არავინ დაგდო მსჯავრი?“

11 მან უპასუხა: „არავინ, უფალო!“ იესომ უთხრა: „არც მე გდებ მსჯავრს. წარი და ამიერიდან ნულარ სცოდავ.“

მე ვარ ნათელი ამ წუთისოფლისა

12 იესო კვლავ ეუბნებოდა და უთხრა მათ: „მე ნათელი ვარ

წუთისოფლისა, ვინც წამომყება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სიცოცხლის ნათელი ექნება მას.“ იოან.1,5;9,5. 1იოან.1,5.

13 ფარისევლებმა უთხრეს: „შენ თვითონ მოწმობ შენს თავზე. შენი მოწმობა არა ჭეშმარიტი.“

14 იესომ მიუფო მათ პასუხად: „მე თუ ჩემ თავზე ვმოწმობ, ჩემი მოწმობა ჭეშმარიტია, რაღან ვიცი, საიდან მოვედი და სად მივდივარ. თქვენ კი არ იცით, საიდან მოვედი და საღ მივდივარ.“

15 თქვენ ხორცის მიხედვით განვსჯით, მე კი არავის არ განვსჯი.

16 მე თუ განვსჯი, ჩემი მსჯავრი ჭეშმარიტია, რაღან მე მარტო კი არ ვარ, არამედ მე და მამა, რომელმაც მე მომავლინა.“

17 თქვენს ოჯულშიც წერია, რომ ორი ადამიანის მოწმობა ჭეშმარიტია. 2მჯ.17,6;19,15. მათ.18,16. 2კორ.13,1. ებრ.10,28.

18 მე ჩემს თავზე ვმოწმობ და ჩემზევე მოწმობს მამა, რომელმაც მე მომავლინა. ეს.42,1. იოან.5,32.

19 მაშინ ჰკითხეს მას: „სად არის მამაშენი?“ იესომ უპასუხა: „არც მე მიცნობთ, არც მამაჩემს. მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გეცნობებოდათ.“

20 ეს სიტყვები წარმოთქვა იესომ საგანძურთან, როცა ტაძარში ასწავლიდა. ვერავინ შეიპყრო იგი, რაღან ჯერ არ დამდგარიყო მისი უამი.

ჭეშმარიტება მოგანიჭებთ თავისუფლებას

21 მან კვლავ უთხრა მათ: „მე მივდივარ. თქვენ ძებნას დამიწყებთ, მაგრამ თქვენს ცოდვაში დაიხოცებით. საღაც მივდივარ, თქვენ ვერ მოხვალთ.“ იოან.13,33.

22 იუდეველებმა თქვეს: „თავი ხომ არ უნდა მოიკლას, რომ ამბობს: საღაც მე მივდივარ, თქვენ ვერ შეძლებთ მოსვლას?“

23 უთხრა მათ: „თქვენ ქვენანი ხართ, მე კი ზემოთიდან ვარ; თქვენ წუთისოფლისანი ხართ, მე კი წუთისოფლისა არა ვარ.“ იოან.3,31. კოლ.3,1.

24 ამიტომ გითხარით: თქვენს ცოდვებში დაიხოცებით-მეთქი. რაღან, თუ არ იწამებთ, რომ მე ვარ, თქვენსავე ცოდვებში დაიხოცებით.“

25 მაშინ უთხრეს მას: „ვინ ხარ შენ?“ იესომ უთხრა მათ: „რას გეუბნებოდით თავიდანვე.“

26 ბევრი მაქვს თქვენზე სალაპარაკო და სამსჯავრო, მაგრამ ვინც მე მომავლინა, ჭეშმარიტია, და რაც მისგან მოვისმინე, იმას ვლაპარაკობ წუთისოფლზე.“

27 ვერ მიხვდნენ, რომ მამაზე ეუბნებოდა მათ.

28 ამიტომ უთხრა მათ იესომ: „როცა კაცის ძეს აამაღლებთ,

მაშინ გაიგებთ, რომ ეს მე ვარ და არათერს ვაკეთებ ჩემით, არამედ, რაც მამამ მასწავლა, იმას ვლაპარაკობ. იოან.7,16;12,32.

29 ვინც მე მომავლინა, ჩემთანაა, მარტო არ დამტოვა, რაღან მუდამ იმას ვაკეთებ, რაც მისთვის არის სათნო.“

30 როცა ამბობდა ამას, ბევრმა ირწმუნა იგი.

ვინც ლვთისაგან არის, ის ისმენს ლვთის სიტყვას

31 მაშინ იესომ უთხრა იმ იუდეველებს, რომლებმაც იგი ირწმუნეს: „თუ ჩემ სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ.

32 შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფ-ლებთ თქვენ.“ ე.42,7;61,1. რომ.6,14.

33 მიუგეს მას: „ჩვენ აბრაამის შთამომავალნი ვართ და არა-სოდეს არავისი მონები არ ვყოფილვართ. როგორლა ამბობ, თავისუფლები გახდებითო?“

34 იესომ უპასუხა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა ცოდვის ჩამდენი ცოდვის მონაა. რომ.6,16. 2პეტ.2,19.

35 მაგრამ მონა არ რჩება სახლში საუკუნოდ. ძე რჩება საუ-კუნოდ.

36 ამიტომ, თუ ძე გაგათავისუფლებთ, ნამდვილად თავისუფ-ლები იქნებით.

37 ვიცი, რომ აბრაამის შთამომავალნი ხართ, მაგრამ ჩემს მოკვლას ცდილობთ, რაღან ჩემი სიტყვა ვერ ეტევა თქვენში.

38 მე იმას ვლაპარაკობ, რაც მამაჩემთან ვნახე, თქვენ კი აკე-თებთ იმას, რაც მამათქვენთან მოისმინეთ.“

39 მიუგეს და უთხრეს მას: „ჩვენი მამა აბრაამია!“ იესომ უთხრა: „თქვენ რომ აბრაამის შვილები იყოთ, აბრაამის საქ-მეებს გააკეთებდით. რომ.4,16.

40 ახლა კი ჩემს მოკვლას ცდილობთ, კაცისას, რომელმაც გითხარით ჭეშმარიტება, რაც ლვთისაგან მოვისმინე. აბრაამს ასეთი რამ არ გაუკეთებია.

41 თქვენ მამათქვენის საქმეებს აკეთებთ.“ უთხრეს მას: „ჩვენ სიძვით შობილნი როდი ვართ, ჩვენ გვყავს ერთი მამა – ღმერთი.“

42 იესომ უთხრა: „ღმერთი რომ მამა იყოს თქვენი, მაშინ გეყვარებოდით, რაღან მე გამოვედი და მოვედი ლვთისგან, ვინაიდან მე ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ მან მომავლინა.

43 რატომ ვერ იგებთ ჩემს ნათქვამს? იმიტომ, რომ არ შეგიძლიათ მოისმინოთ ჩემი სიტყვა.

44 თქვენი მამა არის ეშმაკი და მამათქვენის გულისთქმის შესრულება გწადიათ. ის კაცის მკვლელი იყო თავიდან და ჭეშმარიტებაში ვერ დადგა, რაღან არაა მასში ჭეშმარიტება. როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, რაღან ცრუა იგი და სიცრუის მამაა.

45 ხოლო, რაკი მე ჭეშმარიტებას ვლაპარაკობ, არ გწამთ ჩემი.

46 რომელი თქვენგანი მამხილებს ცოდვის გამო? და თუ ჭეშმარიტებას ვამბობ, რატომ არ გწამთ ჩემი?

47 ვინც ლვთისგანაა, ლვთის სიტყვებს ისმენს. თქვენ იმიტომ არ ისმენთ, რომ ლვთისგან არ ხართ.” ითან.10,27. ითან.4,6.

იუდეველების ბრალდება

48 მაშინ იუდეველებმა მიუგეს და უთხრეს: „განა კარგად არ ვამბობთ, რომ შენ სამარიელი ხარ და ეშმაკია შენში?”

49 მიუგო იესომ: „ჩემში არაა ეშმაკი, არამედ მე პატივს ვცემ მამაჩემს, თქვენ კი უპატიომყობთ მე.”

50 თუმცა მე არ ვეძებ ჩემს დიღებას. არის მძებნელი და მსჯავრმდებელი.

51 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ჩემ სიტყვას იცავს, იგი არ იხილავს სიკვდილს უკუნისამდე.”

52 იუდეველებმა უთხრეს: „ახლა კი მივხვდით, რომ ეშმაკი ყოფილა შენში. აბრაამი და წინასწარმეტყველნი დაიხოცნენ, შენ კი ამბობ: ვინც ჩემს სიტყვას იცავს, არ იგემებსო სიკვდილს უკუნისამდე.”

53 განა შენ ჩვენს მამა აბრაამზე დიღი ხარ, რომელიც მოკვდა? წინასწარმეტყველნიც დაიხოცნენ. რა გგონია შენი თავი?”

54 მიუგო იესომ: „მე თუ ჩემ თავს განვაღილებ, ჩემი დიღება არაფერია. მე განმაღილებს მამაჩემი, ვისზეც ამბობთ: ჩვენი ღმერთი არისო.” ითან.16,14. საქ.3,13.

55 თქვენ ის ვერ შეიცანით, მე კი ვიცნობ მას. თუ ვიტყვი, რომ არ ვიცნობ მას, თქვენისთანა ცრუ ვიქნები. მაგრამ ვიცნობ მას და ვიცავ მის სიტყვას.

56 აბრაამს, მამათქვენს, უხაროდა, რომ იხილავდა ჩემს დღეს. იხილა და გაიხარა.” დაბ.15,6;22,16.

57 უთხრეს მას იუდეველებმა: „ჯერ ორმოცდაათი წლისაც არა ხარ და აბრაამი გინახავს?”

58 უთხრა მათ იესომ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ.”

59 მაშინ აიღეს ქვები მის ჩასაქოლად, მაგრამ იესო თვალს მიეფარა და გავიდა ტაძრიდან.

თ ა ვ ი 9

განკურნება ბრმადშობილისა

1 მოდიოდა და დაინახა კაცი, დაბალებიდან ბრმა.

2 შეეკითხნენ მოწაფეები: „რაბი, ვინ შესცოდა, მან თუ მისმა მშობლებმა, ბრმა რომ დაიბადა?”

3 მიუგო იესომ: „არც მას შეუცოდავს და არც მის მშობლებს, არამედ, რათა ღვთის საქმენი გამოკეთდეს მასში.

4 ჩვენ უნდა ვაკეთოთ იმის საქმენი, ვინც მე მომავლინა, სანამ დღეა. მოდის ღამე, როცა ვეღარავინ შეძლებს კეთებას.

ითან.4,34;12,35.

5 სანამ წუთისოფელში ვარ, წუთისოფლის ნათელი ვარ.“

ეს.42,6. ითან.1,5;8,12.

6 ეს რომ თქვა, მიწაზე დაანერწყვა, ნერწყვით ტალახი მოზილა და თვალებზე წაუსვა ბრძას. ითან.11,37.

7 უთხრა: „წალი და დაიბანე სილოამის აუზში“ (რაც ნიშნავს მოვლინებულს). წავიდა, მოიბანა და მოვიდა თვალახელილი.

ნემ.3,15.

8 მეზობლებმა და მათ, ვისაც ადრე ენახათ, რომ მათხოვარი იყო, თქვეს: „ეს ის არაა, რომ იჯდა და მათხოვრობდა?“

9 ერთნი ამბობდნენ: ეს სწორედ ისააო, სხვებმა თქვეს: არა, მაგრამ იმასა ჰგავსო. მან კი თქვა, მე ვარო.

10 მაშინ ჰკითხეს მას: „როგორ აგეხილა თვალები?“

11 მან მიუგო: „კაცმა, იესო რომ ჰქვია, მოზილა ტალახი, წამისვა თვალებზე და მითხრა: წალი სილოამს და მოიბანეო; წავედი, მოვიბანე და ამეხილა თვალები.“

12 მაშინ უთხრეს მას: „სადაა იგი?“ მან თქვა: „არ ვიცი.“

13 მიიყვანეს ფარისევლებთან ის კაცი, წინათ რომ ბრძა იყო.

14 შაბათი იყო ის დღე, იესომ რომ ტალახი მოზილა და თვალები აუხილა.

15 ფარისევლებმაც ჰკითხეს, თუ როგორ აეხილა თვალები. უთხრა მათ: „ტალახი დამატო თვალებზე, მოვიბანე და ვხედავ.“

16 მაშინ ზოგმა ფარისეველმა თქვა: „ეს კაცი არ არის ღვთისაგან, რაკი შაბათს არ იცავს.“ სხვებმა კი თქვეს: „როგორ შეძლებს ცოდვილი კაცი ასეთი სასწაულების მოხდენას?“ და იყო მათ შორის განხეთქილება. ითან.7,43.

17 კვლავ უთხრეს ბრძას: „შენ რას იტყვი მასზე, თვალები რომ აგიხილა?“ მან თქვა: „წინასწარმეტყველია იგი.“

ლუკ.7,16. ითან.4,19.

18 არ დაუჯერეს იუდეველებმა მას, რომ ბრძა იყო და თვალები აეხილა, სანამ თვალახელილის მშობლებს არ დაუძახეს.

19 ჰკითხეს მათ: „ესაა თქვენი ვაჟი, ვისზეც ამბობთ, რომ ბრძა დაიბადაო? ახლა როგორლა ხედავს?“

20 მიუგეს მშობლებმა და უთხრეს: „ვიცით, რომ ეს ჩვენი შვილია და ბრძა დაიბადა.

21 მაგრამ ახლა როგორ ხედავს, არ ვიცით, ან ვინ აუხილა თვალები, არც ეგ ვიცით. ხომ ასაკოვანია, მას ჰკითხეთ და თვითონ იტყვის თავის თავზე.“

22 ასე უთხრეს მისმა მშობლებმა, რადგან ეშინოდათ იუდეველებისა. ვინაიდან იუდეველებს უკვე პირი შეეკრათ, სინაგოგიდან მოეკვეთათ ყველა, ვინც მას ჭრისტედ აღიარებდა. ითან.12,42.

23 ამიტომ უთხრეს მშობლებმა: ასაკოვანია, მას ჰქითხეთო.

24 ამიტომ მეორედ დაუძახეს იმ კაცს, ბრმა რომ იყო, და უთხრეს: „მიაგე დიდება ღმერთს. ჩვენ ვიცით, რომ ცოდვილია ის კაცი.“

25 მან კი მიუგო: „არ ვიცი, ის კაცი ცოდვილია თუ არა. ერთი რამ ვიცი: ბრმა ვიყავი და ახლა კი ვხედავ.“

26 კვლავ უთხრეს მას: „რა გაგიკეთა, როგორ აგიხილა თვალები?“

27 მიუგო მათ: „მე უკვე გითხარით და არ მისმინეთ, რად გინდათ კვლავ მოსმენა? ან იქნებ მის მოწაფეებად გახდომა გსურთ?“

28 მათ კი გალანძლეს იგი და უთხრეს: „შენა ხარ მისი მოწაფე, ჩვენ კი მოსეს მოწაფეები ვართ.

29 ჩვენ ვიცით, რომ მოსეს ელაპარაკებოდა ღმერთი. ამაზე კი არაფერი ვიცით, საიდანაა იგი.

30 მიუგო კაცმა და უთხრა მათ: „საკვირველი სწორედ ისაა, რომ თქვენ არ იცით, საიდანაა იგი, მან კი თვალები ამიხილა.

31 ჩვენ კი ვიცით, რომ ცოდვილებს არ უსმენს ღმერთი, არამედ, ვინც ლვთის მოშიშია და მის ნებას ასრულებს, იმას უსმენს.

იგავ.15,29. ეს.1,15. მიქ.3,4.

32 საუკუნითგან არ გაგონილა, რომ ვინმეს ბრმად დაბადებულისთვის თვალები აეხილოს.

ეს.42,7.

33 ეს რომ ლვთისაგან არ ყოფილიყო, ვერაფერს გახდებოდა.“

34 მიუგეს მას: „შენ მთლიანად ცოდვებში დაიბადე და ჩვენ გვასწავლი?“ და გარეთ გამოაგდეს იგი.

განკურნებულს სწამს ძე ლვთისა

35 იესომ გაივო, რომ გარეთ გამოაგდეს იგი, მონახა და უთხრა მას: „შენ გწამს კაცის ძე?“

36 მიუგო მან და უთხრა: „ვინაა იგი, უფალო, რომ ვიწამო?“

37 იესომ უთხრა: „შენ გინახავს იგი და, ვინც შენ გელაპარაკება, ისაა.“

38 მან მიუგო: „მე მწამს, უფალო,“ და თაყვანი სცა მას.

39 უთხრა იესომ: „განსასჯელად მოვედი ამ წუთისოფელში, რათა ბრმებმა დაინახონ, მხედველნი კი დაბრმავდნენ.“

მათ.11,25. 2კორ.3,14.

40 მასთან მყოფმა ზოგიერთმა ფარისეველმა გაიგონა ეს და უთხრა მას: „ნუთუ ჩვენც ბრმები ვართ?“

41 უთხრა მათ იესომ: „ბრმები რომ ყოფილიყავით, ცოდვა არ გექნებოდათ. მაგრამ რაკი ამბობთ, თვალხილულნი ვართო, თქვენი ცოდვა რჩება.“

ითანე.15,22.

თ ა ვ ი 10

მე ვარ მწყემსი კეთილი

1 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: „ვინც კარი-

დან არ შედის ცხვრის ფარებში და სხვა გზით გადაღის, ქურდი და ავაზაკია იგი.

2 ვინც კარიღან შედის, ცხვრის მწყემსია იგი.

3 მეცარე ულებს მას, ცხვარი უსმენს მის ხმას, იგი სახელით მოუხმობს თავის ცხვარს და გამოჰყავს ისინი.

4 როცა თავისებს გამოუშვებს, იმათ წინ მიუძღვის და ცხვარიც მისდევს მას, რაღაც იცნობს მის ხმას.

5 უკეოს არ გაჰყვება, გაექცევა, რაღაც უცხოთა ხმას არ იცნობს.

6 ეს იგავი უთხრა მათ იესომ, მათ კი ვერ გაიგეს, რას ეუბნებოდა.

7 კვლავ უთხრა იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით ოქვენ: მე ვარ კარი ცხვართა.

8 ყველა, ვინც ჩემზე წინ მოვიდა, ქურდი და ავაზაკია, და ცხვარმა არ მოუსმინა მათ. იერ.23,1;50,6. ეზეკ.34,2.

9 მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით, გადარჩება. შევა და გამოვა, და საძოვარს ჰპოვებს. ფსალ.22,2.

ბრალდება

10 „ქურდი მხოლოდ იმისათვის მოღის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს. მე იმისთვის მოვედი, რომ სიცოცხლე ჰქონდეთ და უხვად ჰქონდეთ.

11 მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათვის.

ფსალ.22,1. ეს.40,11. ეზეკ.34,13;37,24. 13ეტ.2,25;5,4.

12 მოჯამავირე კი, რომელიც არ არის მწყემსი და არც ცხვარი ეკუთვნის, მოსული მგლის დანახვაზე სტოვებს ცხვრებს და გარბის. მგელი კი იტაცებს მათ და ფანტავს.

13 მოჯამავირე კი გარბის, რაღაც მოჯამავირეა იგი და არ ზრუნავს ცხვრებზე.

14 მე ვარ მწყემსი კეთილი. მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე, ეზეკ.34,11. 2ტიმ.2,19.

15 როგორც მამა მიცნობს მე და მე ვიცნობ მამას. ჩემს სულს ვწირავ ცხვართათვის.

16 მე სხვა ცხვრებიცა მყავს, არა ამ ფარებისა. მე ისინიც უნდა მოვიყვანო. მოისმენენ ჩემს ხმას და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი. ეზეკ.37,22.

17 იმიტომ ვუყვარვარ მამას, რომ მე ჩემს სიცოცხლეს ვწირავ, რათა კვლავ დავიბრუნო იგი. ეს.53,11.

18 ვერავინ წამართმევს მას, მაგრამ მე თვით ვწირავ მას. მე მაქვს ხელმწიფება მის გასაწირავად და მაქვს ხელმწიფება მის დასაბრუნებლად. ეს მცნება მამაჩემისგან მივიღე. იოან.2,19;14,31.

19 ამ სიტყვების გამო კვლავ ჩამოვარდა განხეთქილება იუდე-
ველთა შორის.

20 ბევრმა მათგანმა თქვა: „ეშმაკეულია იგი და შეშლილი.
რისთვის უსმენთ მას?“ მარ.3,21. იოან.7,20.

21 სხვებმა თქვეს: „ეს სიტყვები ეშმაკეულისა არ არის; განა
შეძლებს ეშმაკი, ბრმას თვალი აუხილოს?“

22 სატყურების დღესასწაული იყო იერუსალიმში. ზამთარი
იდგა.

23 იესო ტაძარში დადიოდა, სოლომონის სტოაში.

24 აქ შემოეხვივნენ იუდეველნი გარშემო და უთხრეს:
„როდემდე უნდა გყავდეს ჩვენი სული დაბნეულობაში? თუ
ქრისტე ხარ, გვითხარი გარკვევით.“

25 მიუგო იესომ: „გითხარით და არ ირწმუნეთ! ჩემი საქ-
მეები, მამაჩემის სახელით რომ ვაკეთებ, მოწმობენ ჩემზე!“ იოან.5,36.

26 მაგრამ თქვენ არ გჯერათ, რადგან ჩემი ცხვრისაგანნი არა
ხართ, როგორც გითხარით. იოან.8,19. 1იოან.4,6.

27 ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ. მე ვიცნობ მათ და ისინი
მე მომყვებიან.

28 მე მათ საუკუნო სიცოცხლეს ვაძლევ და არ დაიღუპებიან
საუკუნოდ და ხელიდან ვერავინ გამომტაცებს.

29 მამაჩემი, რომელმაც მომცა ისინი, ყველაზე დიდია და
ვერავინ ვერ გაიტაცებს მათ მამაჩემის ხელიდან. 2შჯ.33,3.

30 მე და მამა ერთი ვართ.“

31 მაშინ კვლავ დაავლეს იუდეველებმა ქვას ხელი მის ჩასა-
ჭოლად. იოან.5,18.

32 მიუგო მათ იესომ: „ბევრი კარგი საქმე გაჩვენეთ მამისგან,
რომელი მათგანისთვის მქოლავთ?“

33 მიუგეს მას იუდეველებმა: „კარგი საქმისთვის კი არ გქო-
ლავთ, არამედ ღვთის გმობისათვის და იმისთვის, რომ კაცი ხარ
და ღმერთად ხდი შენს თავს.“

34 მიუგო მათ იესომ: „განა თქვენს რჯულში არ წერია, რომ
‘მე ვთქვი თქვენ ღმერთები ხართ?’“ ფსალ.81,6.

35 თუ ღმერთები უწოდა მათ, ვის მიმართაც ღვთის სიტყვა
იყო და ვის მიმართაც წერილი არ ირღვევა,

36 მას, რომელიც მამამ განწმიდა და მოავლინა წუთისო-
ფელში, ეუბნებით: ღმერთს გმობო, რაკი ვთქვი: ღვთის ძე ვარ-
მეთქი? იოან.6,27.

37 თუ მამაჩემის საქმეებს არ ვაკეთებ, ნუ მერწმუნებით.

38 და თუ ვაკეთებ და არ მერწმუნებით, საქმეებს ერწმუნეთ,
რათა გაიგოთ და იცოდეთ, რომ ჩემშია მამა და მე მამაში ვარ.“ იოან.14,10;17,21.

39 მაშინ კვლავ ცდილობდნენ მის შეპყრობას, მაგრამ
დაუსხლტა მათ ხელიდან.

იორდანეს გაღმა წასვლა

40 ისევ წავიდა იორდანეს გაღმა, იმ ადგილას, საღაც წინათ
ნათლავდა იოანე, და იქ დარჩა. იოან.1,28.

41 ბევრნი მოვიღნენ მასთან და ამბობდნენ: „იოანეს არ
მოუხდენია არც ერთი სასწაული, მაგრამ ყველაფერი, რაც
იოანემ თქვა მასზე, ჭეშმარიტი იყო.“

42 და იქ ბევრმა ირწმუნა იგი.

თ ა ვ ი 11

ლაზარეს სნეულება და სიკვდილი

1 ავად იყო ვინძე ბეთანიელი ლაზარე, მარიამისა და მისი
დის მართას სოფლიდან.

2 ეს სწორედ ის მარიამი იყო, უფალს რომ ნელსაცხებელი
სცხო და ფეხები თავისი თმებით შეუმშრალა. მისი ძმა ლაზარე
იყო ავად. მათ.26,7. მარ.14,3. იოან.12,3.

3 მისმა დებმა კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს: „უფალო,
აპა, ვინც შენ გიყვარს, ავადაა.“

4 იესომ მოისმინა და უთხრა: „ეს ავადმყოფობა სასიკვდი-
ლოდ არ არის, არამედ ღვთის საღიდებლადაა, რათა მისით
განდიდეს ღვთის ძე.“ იოან.9,3.

5 იესოს უყვარდა მართა, მისი და, და ლაზარე.

6 როდესაც გაიგო, რომ ავად იყო, ორი დღე დარჩა იმ
ადგილზე, საღაც იმყოფებოდა.

7 ამის შემდეგ უთხრა მოწაფეებს: „წავიდეთ კვლავ
იუდეაში.“

8 უთხრეს მას მოწაფეებმა: „რაბი, იუდეველები ახლახან
შენს ჩაქოლვას ცდილობდნენ და კიდევ იქ მიღიხარ?“ იოან.10,31.

9 მიუგო იესომ: „თორმეტი საათი არ არის დღეში? ვინც
დღისით დაღის, არ წაიბორძიკებს, რაღვან ამ წუთისოფლის
ნათელს ხედავს.“ იოან.9,4.

10 ლამით მოარული კი წაიბორძიკებს, რაღვან ნათელი არ არის
მასში. იოან.12,35.

11 ეს თქვა და შემდეგ უთხრა მათ: „ლაზარემ, ჩვენმა მეგო-
ბარმა, დაიძინა. მაგრამ მე მის გასაღვიძებლად მივდივარ.“

12 უთხრეს მისმა მოწაფეებმა: „უფალო, თუ დაიძინა, გამო-
კეთდება.“

13 იესო მის სიკვდილზე ამბობდა, მათ კი ეგონათ, რომ ბუნე-
ბრივ ძილზე ლაპარაკობდა.

14 მაშინ იესომ პირდაპირ უთხრა: „ლაზარე მოკვდა.

15 მიხარია თქვენს გამო, იქ რომ არ ვიყავი, რათა თქვენ
ირწმუნოთ. მაგრამ წავიდეთ მასთან.“

16 მაშინ თომამ, ტყუპისცალად წოდებულმა, უთხრა თანამო-
წაფეებს: „ჩვენც წავყვეთ, რათა მასთან ერთად დავიხოცოთ.“

ლაზარეს აღდგინება

17 იესო მივიღა და ნახა, რომ ის უკვე ოთხი დღის დამა-
რხული იყო.

18 ბეთანია ახლოს იყო იერუსალიმიდან, თხუთმეტი სტადიო-
ნის მანძილზე.

19 ბევრი იუდეველთაგანი მივიღა მართასთან და მარიამთან,
რათა ენუგეშებინათ ისინი ძმის გამო.

20 რომ გაიგო მართამ, იესო მოღისო, შეეგება მას. მარიამი
კი შინ იჯდა.

21 მაშინ მართამ უთხრა იესოს: „უფალო, აქ რომ ყოფილი-
ყვი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა.

22 მაგრამ ახლაც ვიცი: რასაც სთხოვ ღმერთს, მოგცემს ღმერთი.“

23 უთხრა მას იესომ: „აღდგება შენი ძმა.“

24 უთხრა მას მართამ: „ვიცი რომ აღდგება აღდგომისას,
უკანასკნელ დღეს.“ იობ.19,25-26. ეს.26,19. ეზე.37,4. დან.12,2.

25 უთხრა მას იესომ: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი
მორწმუნე, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს.

26 ყველა, ვინც ცოცხლობს ჩემში და სწამს ჩემი, არ
მოკვდება უკუნისამდე. გწამს ეს?“ იოან.6,54.

27 მან უთხრა: „ღიახ, უფალო, მე მწამს, რომ შენ ქრისტე
ხარ, აქ ღვთისა, რომელიც ამ წუთისოფლად მოღის.“ მათ.16,16.

28 ეს რომ თქვა, წავიდა და თავის დას, მარიამს საიღუმლოდ
მოუხმო და უთხრა: „მოძღვარია აქ და შენ გიხმობს.“

29 როგორც კი გაიგონა, სასწრაფოდ წამოღვა და მივიღა
მასთან.

30 იესო ჯერ სოფელში არ შესულიყო, იმავე აღგილზე იღვა,
საღაც მართა შეეგება.

31 ხოლო იუდეველებმა, რომლებიც მასთან იყვნენ სახლში და
ანუგეშებდნენ, დაინახეს, რომ მარიამი უცებ აღგა და გავიდა.
გაჰყვნენ უკან, ეგონათ, სამარხისკენ მიღიოდა სატირლად.

32 მარიამი მივიღა იმ აღგილას, საღაც იესო იყო და, რომ
იხილა იგი, დაემხო მის ფერხთით და უთხრა: „უფალო, აქ რომ
ყოფილიყვი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა.“

33 როდესაც იესომ დაინახა, რომ ტიროდა იგი და მასთან
ერთად მოსული იუდეველებიც ტიროდნენ, შეიძრა სულით და
აშფოთდა.

34 უთხრა: „სად დაასვენეთ იგი?“ მიუგეს: „უფალო, მოღი
და ნახე.“

35 აცრემლდა იესო.

36 თქვეს მაშინ იუდეველებმა: „ნახე, როგორ ჰყარებია!“

37 ზოგმა მათგანმა კი თქვა: „ნუთუ ბრძის თვალის ამხელს არ
შეეძლო ისე გაეჭერებინა, რომ ეს არ მომკვდარიყო?“ იოან.9,6.

38 იესო კი, კვლავ შეძრული შინაგანად, მივიღა სამარხთან.
ეს იყო გამოქვაბული, რომელსაც ლოდი ჰქონდა აფარებული.

39 თქვა იესომ: „მოაშორეთ ლოდი.“ მიცვალებულის დამ, მართამ უთხრა: „უფალო უკვე ყარს, რაღგან მეოთხე დღეა, რაც დავმარხეთ.“

40 უთხრა მას იესომ: „განა არ გითხარი, რომ, თუ ირწმუნებ, ლვთის დიდებას იხილავ-მეთქი?“

41 და მოაშორეს ლოდი. იესომ თვალები აღაპყრო და თქვა: „მამაო, გმადლობ, რომ მისმინე.“

42 მე ვიცოდი, რომ ყოველთვის მისმენ. მე მხოლოდ გარშემოკრებილი ხალხის გასაგონად ვთქვი, რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე.“

43 ეს რომ თქვა, დიდი ხმით დაიძახა: „ლაზარე, გამოდი!“

44 გამოვიდა მიცვალებული, ხელ-ფეხი სახვევებით ჰქონდა შეკრული და სახეც სუღარით ჰქონდა შეხვეული. უთხრა მათ იესომ: „გახსენით, გაუშვით, იაროს.“

45 მაშინ ბევრმა იუდეველთაგან, რომლებიც მოვიდნენ მარიამთან და იხილეს, რაც მან მოახდინა, ირწმუნა იგი.

მღვდელმთავრები და ფარისევლები პირს კრავენ იესოს მოსაკლავად

46 ზოგიერთნი კი წავიდნენ ფარისევლებთან და უთხრეს, რაც მოახდინა იესომ.

47 მაშინ მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა შეკრიბეს სინედრიონი და თქვეს: „რა ვჭნათ, რაღგან ეს კაცი ბევრ სასწაულებს ახდენს?“ მათ.26,3. მარ.14,1.

48 თუ მივუშვებთ თავის ნებაზე, ყველა ირწმუნებს მას. მოვლენ რომაელები და დაიპყრობენ ჩვენს ადგილსაც და ერსაც.“

49 ერთმა მათგანმა, კაიაფამ, რომელიც მღვდელმთავრობდა იმ წელიწადს, უთხრა მათ: „თქვენ არათვერი გაგეგებათ,

50 ვერ მოგიფიქრებიათ, რომ გვიჯობს ერთი აღამიანი მოკვდეს ხალხისთვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს.“ იოან.18,14.

51 ეს თავისით არ უთქვამს, არამედ მღვდელმთავრობდა იმ წელიწადს და იწინასწარმეტყველი, რომ იესო ერისთვის მოკვდებოდა.

52 და არა მარტო ერისთვის, არამედ იმისათვისაც, რომ ლვთის გაფანტული შვილები შეეკრიბა ერთაღ. იოან.10,16. ეფეს.2,13.

53 იმ დღიდან გადაწყვიტეს, მოეკლათ იგი. მათ.21,38.

54 ამიტომ იესო აღარ დადიოდა იუდეველთა შორის ცხადად, არამედ გაეცალა იქაურობას უღაბნოს ახლოს მღებარე მხარეში, ქალაქში, ეფრემი რომ ეწოდება, და იქ დარჩა მოწაფეებთან ერთაღ.

55 ახლოვდებოდა იუდეველთა პასექი და ამ მხარიდან მრავალი ავიდა პასექის წინ იერუსალიმში განსაწმედად. 26შტ.30,17.

56 ეძებდნენ იესოს და ტაძარში მდგომნი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ‘როგორ ფიქრობთ, არ მოვა დღესასწაულზე?’

57 მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა განკარგულებები გასცეს, რომ ვინც შეიტყობდა, სად იყო იგი, უნდა ეცნობებინა, რათა შეეპყროთ.

თ ა ვ ი 12

ბეთანიელი მარიამი ნარდს სცხებს იესოს

1 პასექამდე ეჭვსი დღით ადრე მოვიდა იესო ბეთანიაში, საღაც იყო ლაზარე, რომელიც იესომ აღადგინა მკვდრეთით.
მათ.26,6. მარ.14,3. ითან.11,2.

2 მას ვახშამი მოუმზადეს იქ. მართა ემსახურებოდა, ლაზარე კი მისი ერთ-ერთი თანამეინახე იყო. ლუკ.10,40.

3 მარიამმა აიღო ერთი ლიტრი სუფთა, ძვირფასი ნარდის ნელსაცხებელი, ფეხებზე სცხო იესოს და საკუთარი თმით შეუმშრალა ფეხები. სახლი ნელსაცხებლის სურნელებით აივსო.

4 თქვა იუდა ისკარიოტელმა, ერთმა მისმა მოწაფეთაგანმა, რომელსაც უნდა გაეცა იგი:

5 „რატომ არ გაიყიდა ეს ნელსაცხებელი სამას დინარად და ლარიბებს არ დაურიგდა?“

6 ეს იმიტომ კი არ თქვა, რომ ლარიბებზე ზრუნავდა, არამედ იმიტომ, რომ ქურდი იყო. ყულაბა მას ჰქონდა და, რასაც ჩაყრიდნენ, ის იღებდა. ითან.13,29.

7 იესომ უთხრა: „დაანებე თავი, მან ჩემი დამარხვის დღი-სთვის გადაინახა იგი.

8 რაღაც ლარიბნი ყოველთვის თქვენთანა გყავთ, მე კი არ გყავართ ყოველთვის.“ 2შჯ.15,11.

9 იუდეველთაგან დიღძალმა ხალხმა გაიგო, რომ ის იქ იყო და მივიღნენ არა მარტო იესოს გულისთვის, არამედ ლაზარეს სანახავაღაც, რომელიც მან მკვდრეთით აღადგინა.

10 მღვდელმთავრებმა ლაზარეს მოკვლაც გადაწყვიტეს,

11 რაღაც მის გამო ბევრი იუდეველი მოღიოდა და რწმუნდებოდა იესოში.

იესოს ზეიმით შესვლა იერუსალიმში

12 მეორე დღეს საღლესასწაულოდ მოსულმა დიღძალმა ხალ-ხმა გაიგო, იესო მოღის იერუსალიმში.

13 აიღეს პალმის ტოტები, მის შესაგებებლად გავიღნენ და იძახდნენ: „ოსანა! კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი, და მეფე ისრაელისა!“ მათ.21,8. მარ.11,8. ლუკ.19,36.

14 იესომ ერთი ჩოჩორი იპოვა და ზედ შეჯდა, როგორც დაწერილია:

15 „ნუ გეშინია სიონის ასულო. აპა, შენი მეფე მოღის ჩოჩორზე მჯდომი.“ ეს.62,11. ზაქ.9,9. მათ.21,5.

16 პირველად ვერ გაუგეს მოწაფეებმა, მაგრამ, როცა იესო განდიდღა, მაშინ გაიხსენეს, რომ ეს მასზე იყო დაწერილი, და ასე მოექცნენ მას.

17 მოწმობდა ის ხალხი, რომელიც მასთან იყო, როცა ლაზარე საფლავიდან გამოიხმო და მკვდრეთით აღადგინა.

18 ამიტომ შეეგება ხალხი, რაკი გაგონილი ჰქონდა, რომ ეს სასწაული მოახდინა.

19 ფარისეველებმა კი ერთმანეთს უთხრეს: „ხედავთ? ვეღა-რაფერს ხდებით. მთელი წუთისოფელი მას მიჰყვება.“

ბერძნებს უნდათ იესოს ნახვა

20 დღესასწაულზე თაყვანის საცემად ამოსულთა შორის იყვნენ ბერძნები.

21 მივიღნენ ისინი ფილიპესთან, რომელიც გალილეის ბერძანდან იყო, სთხოვეს და უთხრეს: „ბატონო, იესოს ნახვა გვსურს.“

22 ფილიპე მივიღა ანდრიასთან და უთხრა. შემდეგ ანდრიამ და ფილიპემ უთხრეს იესოს.

კაცის ძის განდიდება

23 მიუგო იესომ მათ: „მოვიდა უამი, რომ განდიდეს კაცის ძე.

24 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ მიწაში ჩავარდნილი ხორბლის მარცვალი არ მოკვდა, მარტო დარჩება. და თუ მოკვდა, ბევრ ნაყოფს გამოისხამს.

25 ვისაც თავისი სული უყვარს, კარგავს მას. ხოლო ვისაც თავისი სული სძულს ამ წუთისოფელში, საუკუნო სიკოცხლისათვის შეინახავს მას. მათ.10,39. მარ.8,35. ლუკ.9,24;14,27.

26 ვინც მე მემსახურება, მე მომყვეს და, საღაც მე ვარ, ჩემი მსახურიც იქ იქნება. ვინც მე მემსახურება, მას პატივს მიაგებს მამა. იოან.17,24.

27 ახლა შფოთავს ჩემი სული და რა ვთქვა? მამაო, მიხსენი ამ უამისაგან! მაგრამ ამისთვის მოვედი ამ უამს. მათ.26,38. ებრ.5,7.

28 მამაო, განაღიდე სახელი შენი!“ ზეციდან მოვიდა ხმა: „განვაღიდე და კვლავაც განვაღიდებ.“

29 იქ მდგომბა ხალხმა ამის გაგონებაზე თქვა: ქუხილიაო. სხვებმა კი თქვეს: ანგელოზი ელაპარაკებოდაო მას.

30 მიუგო იესომ და უთხრა: „ჩემთვის კი არ იყო ეს ხმა, არამედ თქვენთვის.

31 ახლაა ამ წუთისოფლის სამსჯავრო. ამ წუთისოფლის მთავარი ახლა გარეთ გაიდევნება. იოან.14,30;16,11.

32 როცა ავმაღლდები მიწიდან, ყველას ჩემთან მივიზიდავ.“ იოან.3,14.

33 ამას იმის მისანიშნებლად ლაპარაკობდა, თუ როგორი სიკვდილით მოკვდებოდა.

34 მიუგო ხალხმა: „რჯულიდან გაგვიგონია, რომ ქრისტე სამუდამოდ რჩება. როგორლა ამბობ, კაცის ძე უნდა ამაღლდესო. ვინაა ეს კაცის ძე?“

2მფ.7,13. ფსალ.88,37. ეს.9,7. ეზექ.37,25. ლან.2,44;7,14. მიქ.5,2.

35 მაშინ იესომ უთხრა მათ: „კიდევ მცირე ხანს არის ოქვენ შორის ნათელი. იარეთ სანამ ნათელი გაქვთ, რათა ბნელმა არ მოგიცვათ. ბნელში მოარულმა არ იცის, საით მიღის.

36 სანამ ნათელი გაქვთ, იწამეთ ნათელი, რათა იყოთ ძენი ნათლისა.“ ოქვა ეს სიტყვები იესომ, წავიდა და მათ თვალს მიეფარა.

ესაიას წინასწარმეტყველება თვალების სიბრმავეზე

37 ამდენი სასწაული მოახდინა მათ წინაშე და მაინც არ იწამეს იგი,

38 რათა ასრულებულიყო ესაია წინასწარმეტყველის სიტყვა, რომელმაც თქვა: „უფალო, ვინ ირწმუნა ჩვენგან სმენილი და უფლის მკლავი ვის გამოეცხადა?“ ეს.53,1. რომ.10,16.

39 იმიტომაც ვერ ირწმუნეს, რომ, როგორც კიდევ თქვა ესაიამ:

40 „მან თვალები დაუბრმავა მათ და გული გაუქვავა, რათა თვალებით ვერ ეხილათ და გულით ვერ მიმხვდარიყვნენ და არ მოქცეულიყვნენ, რომ განმეკურნა ისინი.“

ეს.6,9-10. მათ.13,14. მარ.4,12. ლუკ.8,10. საქ.28,26. რომ.11,8.

41 ეს თქვა ესაიამ, რაკი იხილა მისი დიდება და ილაპარაკა მასზე.

მთავრებმა ირწმუნეს, მაგრამ არ აღიარებენ

42 თუმცა ბევრმა მთავარმაც ირწმუნა იგი, მაგრამ ფარისეველთა გამო ვერ აღიარებდნენ, რათა სინაგოგიდან არ მოეპვეთათ.

43 რაღვან აღამიანთა დიდება უფრო უყვარდათ, ვიღრე ღვთის დიდება. იოან.5,44.

44 იესომ შესძახა და თქვა: „ვისაც ჩემი სწამის, ჩემი კი არ სწამის, არამედ იმისი, ვინც მე მომავლინა,

45 და ჩემი მხილველი ხედავს მას, ვინც მე მომავლინა.

46 მე როგორც ნათელი მოვედი წუთისოფელში, რათა არავინ, ვისაც კი სწამის ჩემი, ბნელში არ დარჩეს. იოან.3,19.

47 თუ ვინმე მოისმენს ჩემს სიტყვებს და არ დაიცავს, მე არ განვსჯი მას, რაღვან წუთისოფლის განსასჯელად კი არ მოვედი, არამედ წუთისოფლის სახსნელად.

48 მას, ვინც მე უარმყოფს და არ მიიღებს ჩემს სიტყვებს, ჰყავს მსაჯული. სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, განსჯის მას უკანასკნელ დღეს. მარ.16,16.

49 რაღვან მე ჩემით კი არ ვილაპარაკე, არამედ მამამ, ჩემმა მომავლინებელმა, მომცა მცნება, რა ვთქვა და რა ვილაპარაკო.

იოან.14,10.

50 მე ვიცი, რომ მისი მცნება საუკუნო სიცოცხლეა. ამიტომ, რასაც ვლაპარაკობ, როგორც მამამ მითხრა, ისე ვლაპარაკობ.“

თ ა ვ ი 13

იესო ფეხებს ბანს მოწაფეებს

1 პასექის დღესასწაულის წინ იცოდა იესომ, რომ დაღვა ამ წუთისოფლიდან მამასთან მისი გაღასვლის უამი: როგორც შეიყვარა თავისიანები, რომლებიც ამ წუთისოფელში იყვნენ, ისევე ბოლომდე უყვარდა ისინი.

მათ.26,2. მარ.14,1.

2 სერობის დროს, როდესაც ეშმაკმა უკვე ჩაუდო გულში იუღას, სიმონ ისკარიოტელისას, რომ გაეცა იგი,

3 იესომ, იცოდა რა, რომ მამამ ყველაფერი მისცა მას ხელთ, რომ ღვთილან გამოვიდა და ომერთთან მიღის, მათ.11,27;28,18.

4 წამოდგა სერობიდან, გადადო ზემო სამოსელი, აილო ტილო და წელზე შემოირტყა. ლუკ.17,8;22,27.

5 შემდეგ ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფეხის ბანა და იმ ტილოთი შემშრალება, რომელიც წელზე ერტყა.

6 მივიღა სიმონ-პეტრესთან, მან კი უთხრა: „უფალო, შენ უნდა დამბანო ფეხი?“

7 მიუგო იესომ და უთხრა მას: „რასაც ვაკეთებ ახლა, არ იცი, მერე კი გაიგებ.“

8 უთხრა პეტრემ: „უკუნისამდე არ დამბან ფეხს.“ იესომ უპასუხა: „თუ არ დაგბან, ჩემთან არ გექნება წილი.“

9 უთხრა სიმონ-პეტრემ: „უფალო, მარტო ფეხს კი არა, ხებსაც და თავსაც.“

10 უთხრა იესომ: „განბანილს ალარ სჭირდება დაბანა, გარდა ფეხებისა, რაღვან ის მთლიანად სუფთაა და თქვენც სუფთანი ხართ, ოღონდ ყველა არა.“ იოან.15,3.

11 რაღვან იცოდა, ვინ გასცემდა. ამიტომ თქვა: ყველანი არ ხართ სუფთა.

12 ფეხები რომ დაბანა მათ და თავისი სამოსელი აილო და კვლავ დაჯდა, უთხრა მათ: „იცით რა გიყავით?“

13 თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს. სწორად ამბობთ, რაღვანაც ვარ. 1კორ.8,6;12,3. ფილ.2,11.

14 ამიტომ, თუკი მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები.

15 რაღვან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექე-ცით, თქვენც ისე მოიქცეთ.

16 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მონა არაა თავის ბატონზე დიდი და მოვლინებული არ არის მომავლინებელზე დიდი,

მათ.10,24. ლუკ.6,40. ითან.15,20.

17 რაკი ეს იცით, ნეტარნი ხართ, თუ ამას აღასრულებთ.

18 ყველა თქვენგანზე არ ვლაპარაკობ. მე ვიცი, ვინც ამოვარჩიე: მაგრამ უნდა აღსრულდეს წერილი: ‘ჩემი პურის მჟამელმა ჩემზე აღმართა ქუსლი.’

ფსალ.40,10. საქ.1,16.

19 ახლა გეუბნებით, სანამ ეს ახდებოდეს, რათა, როცა ახდება, ირწმუნოთ, რომ მე ვარ.

ითან.14,29.

20 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ღებულობს იმას, ვისაც მე მივავლენ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებელსაც ღებულობს.’

მათ.10,40. ლუკ.10,16.

იესოს წინასწარუწყება გამცემლობაზე

21 ამის თქმის შემდეგ იესო სულით აშთოთდა, დაამოწმა და თქვა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს მე.“

მარ.26,21. მარ.14,18. ლუკ.22,21.

22 მოწაფეებმა ერთმანეთს გადახედეს გაოგნებულებმა: ვისზე თქვაო.

23 იესოს მკერდზე მიეყრდნო ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც უყვარდა იესოს.

ითან.21,20.

24 სიმონ-პეტრემ ანიშნა მას და უთხრა: ჰყითხე, ვინ არის, ვისზეც თქვაო.

25 იგი მკერდზე მიეკრა იესოს და უთხრა: „უფალო, ვინაა იგი?“

26 მიუგო იესომ: „ეს ისაა, ვისაც ამოვუწებ ლუკმას და მივცემ.“ აწებს ლუკმას, იღებს და აძლევს იუდას, სიმონ ისკარიოტელისას.

27 ამ ლუკმის შემდეგ სატანა შევიდა მასში. მაშინ უთხრა მას იესომ: „რასაც აკეთებ, მალე გააკეთე.“

28 მაგრამ მეინახეთაგან ვერავინ მიხვდა, რად უთხრა ეს.

29 რაკი ყულაბა იუდას ჰქონდა, ზოგმა იფიქრა, იესო ეუბნება, საღლესასწაულოდ გვიყიდე, რაც გვჭირდებაო, ან კიდევ, რომ რაიმე მიეცა ღარიბებისათვის.

30 ის კი, როგორც კი ლუკმა აიღო, დაუყოვნებლივ გავიდა. და იყო ლამე.

ახალი მცნება: შეიყვარეთ ერთმანეთი

31 როცა ის გავიდა, თქვა იესომ: „ახლა განდიდლა კაცის ძე და ღმერთი განდიდლა მასში.“

ითან.12,23.

32 რაკი ღმერთი განდიდლა მასში, ღმერთიც განადიდებს მას თავის თავში და უძალვე განადიდებს მას.

33 შვილებო, კიდევ მცირე ხანსლა ვარ თქვენთან. ძებნას

დამიწყებთ, როგორც იუდეველებს ვუთხარი, რომ საღაც
მივდივარ, თქვენ ვერ შეძლებთ-მეთქი მოსვლას, თქვენც იმასვე
გეუბნებით ახლა.

იოან.7,34;8,21.

34 ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: ვიყვარდეთ ერთმანეთი;
როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე ვიყვარდეთ ერთმა-
ნეთი.

იოან.15,12. 1იოან.3,11. 1თეს.4,9.

35 ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი, თუ
სიყვარული გექნებათ ურთიერთს შორის.“

36 ჰკითხა მას სიმონ-პეტრემ: „უფალო, საღ მიხვალ?“ იესომ
მიუგო: „ახლა იქ ვერ გამომყვები, საღაც მე მივდივარ, მერე კი
გამომყვები.“

37 უთხრა მას პეტრემ: „უფალო, ახლავე რატომ ვერ გამო-
გყვები? ჩემს სულს დავდებ შენთვის.“

38 იესომ მიუგო: „სულს დადებ ჩემთვის? ჭეშმარიტად,
ჭეშმარიტად გეუბნები შენ: მამალი არ იყივლებს, სანამ სამჯერ
არ უარმყოფ.“

მათ.26,34. მარ.14,30. ლუკ.22,34.

თ ა ვ ი 14

მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე

1 „ნუ შეკროთება თქვენი გული. იწამეთ ღმერთი და მიწამეთ
მე.“

2 მამაჩემის სახლში ბევრი სავანეა. ასე რომ არ იყოს, არ
გეტყოდით. მე მივდივარ, რათა აღგილი მოგიმზადოთ.

3 როდესაც წავალ და აღგილს მოგიმზადებთ, ისევ მოვალ
და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, საღაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ.

იოან.17,24. 1თეს.4,17.

4 საღაც მე მივდივარ, თქვენ იცით ის გზა.“

5 თომამ უთხრა: „უფალო, არ ვიცით, საღ მიღიხარ, და გზა
როგორლა გვეცოდინება?“

6 უთხრა იესომ: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე.
მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით.“

ეს.35,8. იოან.1,14,17;6,33.40;8,32;10,28;11,25. 1იოან.5,20.

7 მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გეცნობებოდათ. ამიერიდან
იცნობთ მას და გიხილავთ იგი.“

8 ფილიპემ უთხრა: „უფალო, გვაჩვენე მამა და საკმარისია
ჩვენთვის.“

9 უთხრა მას იესომ: „რა ხანია, თქვენთან ვარ და ვერ
მიცნობ, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამა იხილა. როგორლა
ამბობ, გვაჩვენე მამა?“

10 განა არ გწამს, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემში?
სიტყვებს, რომელთაც გეუბნებით, ჩემით არ ვამბობ. ჩემში
მყოფი მამა აკეთებს საქმეებს.

11 მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემში. თუ არა და თვით საქმეებს მაინც ერწმუნეთ.

12 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვისაც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ, ისიც გააკეთებს, და მათზე დიღსაც გააკეთებს, რადგან მე მამასთან მივდივარ.

13 რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ, რათა განდიდლეს მამა ძეში. მათ.7.7. მარ.11.24. ლუკ.11.9. ითან.15.7;16.23. იაკ.1.6.

14 თუ რამეს ითხოვთ ჩემი სახელით, გავაკეთებ.

აღთქმა სულიწმიდის მოვლინებისა

15 „თუ მე გიყვარვარო, ჩემი მცნებანი დაიცავით.

16 მე მამას შევეველრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ-

17 ჭეშმარიტების სულს, რისი მიღებაც არ შეუძლია წუთისოფელს, რადგან ვერ ხელავს და არ იცნობს მას. თქვენ კი იცნობთ მას, რადგან თქვენთან რჩება და თქვენში იქნება.

ითან.16.13. 1კორ.2.14.

18 ობლებად არ დაგტოვებთ, მოვალ თქვენთან.

19 კიდევ ცოტაც და წუთისოფელი ველარ მიხილავს, თქვენ კი მიხილავთ, რადგან მე ცოცხალი ვარ და თქვენც იცოცხლებთ.

ითან.11.25. 1თებ.4.14.

20 იმ დღეს გაიგებთ, რომ მე მამაჩემში ვარ და თქვენ ჩემში, და მე თქვენში.

21 ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე, ჩემს მოყვარულს კი ჩემი მამაც შეიყვარებს. მეც შევიყვარებ მას და მე თვითონ გამოვეცხადები.

22 იუდამ, არა ისკარიოტელმა, უთხრა: „უფალო, როგორ იქნება, რომ შენ თვითონ გამოვვეცხადები ჩვენ და არა წუთისოფელს.“

23 მიუგო იესომ და უთხრა: „ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს. ზაქ.2.10. 1კორ.3.16. გამოცხ.3.20.

24 ვისაც არ ვუყვარვარ, არ იცავს ჩემს სიტყვებს. სიტყვა, რომელსაც ისმენთ, ჩემი კი არაა, ჩემი მომავლინებელი მამისაა.

ითან.12.49.

25 ეს გითხარით თქვენთან ყოფნისას.

26 ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სულიწმიდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს. ითან.15.26.

27 მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. წუთისოფელი რომ იძლევა, ისე კი არ გაძლევთ. ნუ შეკრობა თქვენი გული და ნურც შეშინდება. ფილ.4.7.

28 ხომ მოისმინეთ, რომ გითხარით: მივდივარ და მოვალ თქვენთან. რომ გყვარებოდით, გაგიხარდებოდათ, რაკი მამასთან მივდივარ, რადგან მამა ჩემზე დიდია.

29 ახლა გითხარით ეს, სანამ ახდებოდეს, რათა ირწმუნოთ, როცა ახდება.

30 ბევრს აღარ ვილაპარაკებ თქვენთან, რაღან წუთისოფლის მთავარი მოდის და მას ჩემში არაფერი ეკუთვნის. ითან.12,31;16,11.

31 მაგრამ, რათა გაიგოს წუთისოფელმა, რომ მამა მიყვარს და, როგორც მამამ მიბრძანა, ისე ვაჭეთებ. აღეჭით, წავიდეთ აქედან. ითან.10,18. ებრ.10,77

თ ა ვ ი 15

ჰეშმარიტი ვაზი და ლერწები

1 „მე ვარ ვაზი ჰეშმარიტი, მამაჩემი კი მიწისმუშაკია.

2 ყოველ უნაყოფო ლერწს ჩემში ის მოაშორებს და ყოველ ნაყოფიერს კი განწმედს, რათა მეტი ნაყოფი გამოიღოს.

მათ.15,13. გალ.5,22.

3 თქვენ უკვე გაწმედილნი ხართ იმ სიტყვით, რომელიც გითხარით.

4 თქვენ ჩემში დარჩით, მე კი – თქვენში. როგორც ლერწი ვერ მოისხამს ნაყოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩება, ისევე თქვენც, თუ ჩემში არ დარჩებით.

5 მე ვაზი ვარ, თქვენ კი – ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს ისხამს, რაღან უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ. საქ.4,12.

6 ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ გადაიგდება, როგორც ლერწი, და დაჭინება. მოაგროვებენ მათ, ცეცხლში ჩაყრიან და დაიწვებიან. ეზე.15,4. მათ.3,10;7,19.

7 თუ ჩემში დარჩებით და ჩემი სიტყვები თქვენში დარჩება, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ. ითან.14,13;16,23. 1ითან.3,22.

8 ამით განდიდლება მამაჩემი, თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებთ და ჩემი მოწაფეები იქნებით.

დარჩით ჩემს სიყვარულში

9 „როგორც მამამ შემიყვარა მე, მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ. დარჩით ჩემს სიყვარულში!

10 თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ, ჩემს სიყვარულში დარჩებით, როგორც მე დავიცავი მამაჩემის მცნებები და დავრჩი მის სიყვარულში.

11 ეს ყველაფერი იმიტომ გითხარით, რომ ჩემი სიხარული იყოს თქვენში და სრულყოფილი იყოს თქვენი სიხარული.

12 ესაა ჩემი მცნება: გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ. 1ითან.3,11;4,21. ეფე.5,2. 1თე.4,9.

13 იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრისათვის.

14 თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ გააკეთებთ, რასაც მცნებად გიდებთ.

15 მე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი. არამედ მეგობრები გიწოდეთ, რადგან ყველაფერი გამცნეთ, რაც მამაჩემისგან მსმენია. ეფეს.1,9;3,5.

16 თქვენ არ აგირჩევივართ, არამედ მე აგირჩიეთ თქვენ და დაგადგინეთ, რათა წახვილეთ და ნაყოფი გამოიღოთ და თქვენი ნაყოფი დარჩეს, რათა, რასაც კი სთხოვთ მამას ჩემი სახელით, მან მოგცეთ თქვენ.

17 ამას გიდებთ მცნებად, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი.

თქვენც გაგდევნიან

18 „თუ თქვენ წუთისოფელს სძულხართ, იცოდეთ, რომ თქვენზე უწინ მე შემიძულა. 1ითარ.3,13.

19 თქვენ რომ წუთისოფლისანი ყოფილიყავით, წუთისოფელს ეყვარებოდა თავისიანები. და რაკი არ ხართ წუთისოფლისანი, არამედ მე გამოვარჩიეთ წუთისოფლიდან, ამიტომ სძულხართ წუთისოფელს.

20 გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხარით: მონა არ არის-მეთქი თავის ბატონზე დიდი. მე თუ მდევნილნენ, თქვენც დაგი-წყებენ დევნას. თუ ჩემი სიტყვა დაიცვეს, თქვენსასაც დაიცავენ.

მათ.10,24;24,9. მარ.13,9. ლუკ.21,12. ითარ.13,16.

21 მაგრამ ყოველივე ამას ჩემი სახელის გამო გიზამენ, რადგან არ იცნობენ ჩემს მომავლინებელს. ითარ.16,3.

22 მე რომ არ მოვსულიყავი და არ მეთქვა მათთვის, არ ექნებოდათ ცოდვა. ახლა კი არა აქვთ პატიება თავიანთი ცოდვები-სათვის.

23 ჩემს მოძულეს მამაჩემიც სძულს.

24 მე რომ არ მეკეთებინა მათ შორის საქმეები, რასაც სხვა ვერავინ აკეთებდა, ცოდვაც აღარ ექნებოდათ. ახლა კი იხილეს და შეგვიძულეს მეც და მამაჩემიც. ფსალ.34,19;68,5.

25 მაგრამ აღსრულდეს მათ ოჯულში დაწერილი სიტყვა: ‘უმიზეზოდ შემიძულეს.’

26 როცა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მე მოგივლენთ მამისგან – ჭეშმარიტების სული, – რომელიც მამისგან გამოდის, ის დაამოწმებს ჩემს შესახებ. ლუკ.24,49. ითარ.14,26.

27 თქვენც დაამოწმებთ, ვინაიდან თავიდანვე ჩემთანა ხართ.

საქ.1,8;2,32. 1პეტ.5,1.

თ ა ვ ი 16

იესო ჰპირდება ნუგეშისმცემლის მოვლინებას

1 „ეს ყველაფერი გითხარით, რათა არ დაბრკოლდეთ (რწმენაში).

2 სინაგოგიდან მოგკვეთენ, მაგრამ მოღის უამიც, როცა თქვენს ყველა მკვლელს ეგონება, რომ ამით ღმერთს ემსახურება.

3 ასე მოგექცევიან, რაღან არ იცნეს არც მამა, არც მე.

ითან.15,21.

4 მაგრამ ეს გითხარით, რათა, როცა მოვა უამი, გაიხსენოთ, რომ მე გითხარით. ეს არ მითქვამს თავიდანვე, რაღან თქვენთან ვიყავი.

მათ.9,15. ითან.14,29.

5 ახლა მივდივარ მასთან, ვინც მე მომავლინა და არც ერთი თქვენგანი არ მეკითხება, საღ მიღიხარო.

ითან.7,33.

6 მაგრამ მწუხარებით აღივსო თქვენი გული, ეს რომ გითხარით.

7 მაგრამ ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ: თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე, რაღან თუ არ წავედი, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან. თუ წავალ, მე მოგივლენთ. ითან.15,26.

8 და როდესაც ის მოვა, ამხილებს წუთისოფელს ცოდვის, სიმართლისა და სამსჯავროს გამო.

9 ცოდვის გამო, რომ არ მიწამეს;

10 სიმართლის გამო, მამასთან რომ მივდივარ და ვერასოდეს მიხილავთ;

11 სამსჯავროს გამო, რომ მთავარი ამ წუთისოფლისა მსჯავრდებულია. ითან.12,31;14,30. კოლ.2,15.

12 კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ვეღარ იტვირთავთ.

13 როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებას, შეგიძლვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს, და მომავალს გაუწყებთ თქვენ. მათ.10,19.

14 იგი განმაღიდებს მე, რაღან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ.

15 ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია. ამიტომ გითხარით: ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ-მეთქი. ითან.17,10.

იესო მოვიდა მამისგან და მიდის მამასთან

16 „ცოტაც და; ვეღარ მიხილავთ. კიდევ ცოტაც და, მიხილავთ, რაღან მე მამასთან მივდივარ.“

17 რამდენიმე მისმა მოწაფემ ერთმანეთს გადაულაპარაკა: „ამას რას გვეუბნება: ცოტაც და, ვეღარ მიხილავთ. კიდევ ცოტაც და, მიხილავთ, რაღან მამასთან მივდივარო?“

18 ასე ლაპარაკობდნენ: ამას რას ამბობს: ცოტაცო? არ ვიცით, რას ამბობსო.

19 მიხვდა იესო, რომ უნდოდათ მისთვის ეკითხათ, და უთხრა მათ: „იმიტომ ეკითხებით ერთმანეთს, მე რომ ვთქვი: ცოტაც და, ვერ მიხილავთ, და კიდევ ცოტაც და, მიხილავთ-მეთქი?“

20 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: იტირებთ

და იგალალებთ, წუთისოფელი კი გაიხარებს. თქვენ დამწუხხრ-
დებით, მაგრამ თქვენი მწუხარება სიხარულად იქცევა.

21 დედაკაცი მშობიარობისას წუხს, რაღან მისი უამი
დაღვა. ხოლო ბავშვს რომ შობს, სიხარულისგან აღარ ახსოვს
ტანჯვა, რაღან აღამიანი იშვა წუთისოფელში.

22 თქვენც დამწუხხრებულნი ხართ ახლა, მაგრამ კვლავ გიხი-
ლავთ და გაიხარებს თქვენი გული, და თქვენს სიხარულს ვეღა-
რავინ წაგარომევთ.

ლუკ.24,41.52. ითან.20,20. 13ეტ.1,8.

ითხოვეთ ჩემი სახელით

23 „იმ დღეს არაფერს მკითხავთ. ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად
გეუბნებით თქვენ: რასაც სთხოვთ მამას, ჩემი სახელით მოგცემთ
თქვენ.“
მათ.7,7. მარ.11,24. ლუკ.11,9. ითან.14,13;15,7. იაკ.1,6.

24 აქამდე არაფერი გითხოვიათ ჩემი სახელით. ითხოვეთ და
მიიღებთ, რათა თქვენი სიხარული სრულყოფილი იყოს.

25 ამას იგავებით გელაპარაკებოდით, მაგრამ მოდის უამი,
როდესაც აღარ დაგელაპარაკებით იგავებით, არამედ პირდაპირ
გაუწყებთ მამის შესახებ.

26 იმ დღეს შესთხოვთ ჩემი სახელით, ამიტომაც არ გეუბნე-
ბით, რომ მამას ვთხოვ თქვენთვის. რომ.8,34.

27 ვინაიდან თვით მამას უყვარხართ, რაკი მე შემიყვარეთ და
ირწმუნეთ, რომ ღვთისგან გამოვედი. ითან.17,25.

28 მამისგან გამოვედი და წუთისოფელში მოვედი. კვლავ
ვტოვებ წუთისოფელს და მივღივარ მამასთან.“

29 მისმა მოწაფეებმა უთხრეს: „აპა, ახლა პირდაპირ ლაპარა-
კობ და არავითარ იგავს არ ამბობ.“

30 ახლა ვიცით, რომ ყველაფერი იცი. არ გჭირდება, რომ
ვინმემ გკითხოს. ამის გამო გვწამს, რომ ღვთისგან გამოხვედი.“

გამაგრდით, მე ვძლიე წუთისოფელს

31 მიუგო მათ იესომ: „ახლა გწამთ?

32 აპა, მოდის უამი, და მოვიდა კიდეც, როცა ყველა სათი-
თაოდ გაითანტება. მე დამტოვებთ, მაგრამ მე არა ვარ მარტო,
ვინაიდან მამაა ჩემთან.“
მათ.26,31. მარ.14,27.

33 ეს იმიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში.
წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით. მე ვძლიე
წუთისოფელს.“
1ითან.4,4;5,4. 1კორ.15,57.

თ ა ვ ი 17

ლოცვა მოწაფეთათვის

1 ამის თქმის შემდეგ იესომ ცას მიაპყრო თვალები და
თქვა: „მამაო, დაღვა უამი, განადიდო შენი ძე, რათა ძემ განვა-
ღიდოს შენ.“
ითან.12,23.

2 რაღან მიეცი მას ხელმწიფება ყველა ხორციელზე, რათა ყველას, ვინც მას ჩააბარე, საუკუნო სიცოცხლე მისცეს.

დან.7,14. მათ.28,18. ებრ.2,5-8.

3 ესაა საუკუნო სიცოცხლე, რომ გიცნობდნენ შენ, ერთა-დერთ ჭეშმარიტ ღმერთს, და მას ვინც მოავლინე – იქსო ქრისტეს.

ითან.6,29. 1ითან.3,23.

4 მე განვაღიდე დედამიწაზე: აღვასრულე შენი საქმე, რაც მომეცი, რომ გამეკეთებინა.

5 ახლა კი, შენ განვაღიდე მამაო, იმავე დიდებით, რაც მქონდა შენთან წუთისოფლის გაჩენამდე. გამოცხ.5,12.

6 შენი სახელი გამოვუცხადე აღამიანებს, რომლებიც შენ მომეცი წუთისოფლისგან. შენები იყვნენ ისინი და მე მომეცი, შენი სიტყვა დაიცვეს მათ. ითან.18,9.

7 ახლა შეიცნეს, რომ ყველაფერი, რაც მომეცი, შენგანაა.

8 რაღან სიტყვები, რომლებიც შენ მომეცი, მათ გაღავეცი. მიიღეს მათ და სცნეს ჭეშმარიტად, რომ მე შენგან წამოვედი. და ირწმუნეს, რომ შენ მომავლინე. ითან.16,27.

9 მათთვის გევედრები; წუთისოფლისთვის კი არ გევედრები, არამედ მათთვის, რომლებიც შენ მომეცი, რაღან შენები არიან ისინი.

10 ყველაფერი ჩემი შენია, შენი კი – ჩემი. და მე მათში განვდიდდი. ითან.16,15.

11 მე აღარა ვარ წუთისოფელში, მაგრამ ისინი არიან წუთი-სოფელში. მე კი შენთან მოვდივარ. წმიდაო მამავ, დაიცავი შენი სახელით ესენი, რომლებიც შენ მომეცი, რათა ჩვენსავით ერთნი იყვნენ! ითან.10,30. ეფეს.4,3.

12 როცა მათთან ვიყავი, ვიცავდი მათ შენი სახელით. ისინი, რომლებიც შენ მომეცი, მე დავითვარე და მათგან არავინ დაღუ-ჰულა, დაღუპვის ძის გარდა, რათა აღსრულებულიყო წერილი.

ფსალ.108,8. ითან.18,9.

13 ახლა კი შენთან მოვდივარ, და ამას წუთისოფელში ვლა-ვარაკობ, რათა აივსნენ ჩემი სიხარულით.

14 მე მათ მივეცი შენი სიტყვა და წუთისოფელმა შეიძულა ისინი, რაღან არ არიან წუთისოფლისანი, როგორც მე არა ვარ წუთისოფლისა. ითან.8,23.

15 არ გევედრები, რომ წუთისოფლიდან წაიყვანო ისინი, არამედ, რომ დაიცვა ბოროტისაგან.

16 ისინი წუთისოფლისანი არ არიან, როგორც მე არა ვარ წუთისოფლისა.

17 განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით. შენი სიტყვა ჭეშმარი-ტებაა. ფსალ.118,142. ითან.14,6.

18 როგორც შენ მომავლინე წუთისოფელში, მეც ასევე მივა-ვლინე ისინი წუთისოფელში. ეს.61,1.

19 ჩემ თავს განვწმედ მათთვის, რათა ისინიც წმიდანი იყვნენ ჭეშმარიტებაში. ებრ.9,14.

ლოცვა ყველასათვის, ვინც კი ირწმუნებს

20 „მე მხოლოდ ამათზე არ გევედრები, არამედ იმათზეც, ვინც ჩემი მოწამენი იქნებიან თავიანთი სიტყვით.

21 რათა ყველა ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამაო, მე კი – შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში, რათა ირწმუნოს წუთისოფელმა, რომ შენ მომავლინე. ითან. 17, 11.

22 და დიდება, რომელიც შენ მომეცი, მათ მივეცი, რათა ერთნი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთნი.

23 მე მათში და შენ ჩემში, რათა სრულყოფილნი იყვნენ ერთში და რათა იცოდეს წუთისოფელმა, რომ შენ მომავლინე და ისე შემიყვარე ისინი, როგორც მე შემიყვარე.

24 მამაო, მსურს, რომ საღაც მე ვარ, ისინიც ჩემთან იყვნენ, რომელნიც შენ მომეცი, რათა ნახონ ჩემი დიდება, რომელიც შენ მომეცი, რაღან შემიყვარე წუთისოფლის შექმნამდე. ითან. 12, 26.

25 მამაო მართალო, წუთისოფელმა არ შეგიცნო, მე კი შეგიცან და ამათაც შეიცნეს, რომ შენ მომავლინე.

26 მე ვაუწყე მათ შენი სახელი და კვლავაც ვაუწყებ, რათა სიყვარული, რომლითაც შემიყვარე, იყოს მათში და მე მათში ვიყო. ითან. 15, 15.

თ ა ვ ი 18

იესო გაცემულია

1 ეს თქვა იესომ და თავის მოწაფეებთან ერთად კედრონის ხევს გაღმა გავიდა, საღაც ბაღი იყო, რომელშიც შევიდა თვითონ და მისი მოწაფეები. მათ. 26, 36.

2 მისმა გამცემმა იუდამაც იცოდა ეს ადგილი, რაღან იესო და მისი მოწაფეები ხშირად იკრიბებოდნენ იქ.

3 იუდამ კი წაიყვანა რომაელთა რაზმი და მღვდელმთავართა და ფარისეველთაგან გამოგზავნილი მსახურნი, და მივიღნენ იქ ლამპრებით, ჩირალდნებითა და საჭურვლით.

მათ. 26, 47. მარ. 14, 43. ლუკ. 22, 47. საქ. 1, 16.

4 იესომ იცოდა რა ყველაფერი, რაც მოელოდა, გამოვიდა და უთხრა მათ: „ვის ეძებთ?“

5 მიუგეს მას: „იესო ნაზარეველს.“ უთხრა მათ: „მე ვარ.“ მისი გამცემი იუდაც მათთან იღვა.

6 როდესაც უთხრა: მე ვარო, დაიხიეს უკან და მიწაზე დაემხენ.

7 კვლავ ჰკითხა მათ: „ვის ეძებთ?“ მათ უთხრეს: „იესო ნაზარეველს.“

8 მიუგო იესომ: „გითხარით, მე ვარ-მეთქი. მე თუ მეძებთ, ესენი გაუშვით, წავიდნენ“.

9 რათა აღსრულდეს მისი ნათქვამი სიტყვა: „ვინც შენ
მომეცი, მათგან არავინ დამიღუპავს.“
იოან.17,6.12.

პეტრემ მახვილი იშიშვლა

10 სიმონ-პეტრეს კი მახვილი ჰქონდა. იშიშვლა, დასცხო
მღვდელმთავრის მონას და მარჯვენა ყური ჩაათალა. მონას მალ-
ქოზი ერქვა.
მათ.26,51.

11 მაგრამ იესომ უთხრა პეტრეს: „ჩააგე მახვილი ქარქაშში.
ნუთუ არ უნდა შევსვა სასმისი, რომელიც მამამ მომცა?“

12 მაშინ რაზმა, ათასისთავმა და იუდეველთა მსახურებმა,
შეიპყრეს იესო და შეკრეს.

13 პირველად ანასთან წაიყვანეს. ის იყო სიმამრი კაიაფასი,
რომელიც მღვდელმთავრობდა იმ წელიწადს.

მათ.26,57. მარ.14,53. ლუკ.22,54.

14 ეს ის კაიაფა იყო, რომელმაც იუდეველებს ურჩია, უმჯო-
ბესია ერთი კაცი მოკვდეს ხალხისთვისო. იოან.11,50.

15 იესოს მიჰყვებოდნენ სიმონ-პეტრე და სხვა მოწაფე. ის
მოწაფე მღვდელმთავრის ნაცნობი იყო და იესოსთან ერთად
მღვდელმთავრის ეზოში შევიდა.

16 პეტრე კი კარს გარეთ იღვა. შემდეგ სხვა მოწაფე,
მღვდელმთავრის ნაცნობი, გამოვიდა, გადაულაპარაკა მეკარე
ქალს და პეტრე შეიყვანა.

17 აქ მხევალმა მეკარემ უთხრა პეტრეს: „განა შენც იმ
კაცის მოწაფეთაგანი არა ხარ?“ უთხრა მან: „არა ვარ.“

მათ.26,69. მარ.14,66. ლუკ.22,56.

18 იღვნენ მონები და მსახურნი და ნაკვერჩხლები გაეღვივე-
ბინათ, ვინაიდან ციონდა, და თბებოდნენ. პეტრეც მათთან იღვა
და თბებოდა.

იესო მღვდელმთავრების წინაშე

19 მღვდელმთავარმა ჰკითხა იესოს მის მოწაფეებზე და მის
მოძღვრებაზე.

20 მიუგო მას იესომ: „მე აშკარად ველაპარაკებოდი წუთი-
სოფელს და მუდამ ვასწავლიდი სინაგოგასა და ტაძარში, სადაც
ყველა იუდეველი იკრიბება. ფარულად არაფერი არ მიღაპარა-
კნია.

21 მე რას მეკითხები, ჰკითხე მსმენელებს, რას ველაპარაკე-
ბოდი მათ. აპა, მათ იციან, რასაც ვამბობდი.

22 ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ერთმა იქ მდგომმა მსახურმა
გაარტყა იესოს და უთხრა: „ასე პასუხობ მღვდელმთავარს?“

23 მიუგო იესომ: „თუ ცუდად ვთქვი, დამიმოწმე ცუდის
შესახებ, და თუ კარგად – რადა მცერ?“

24 ანამ შებოჭილი გაგზავნა იგი მღვდელმთავარ კაიაფასთან.

უარყოფა პეტრესგან

25 სიმონ-პეტრე კი იღვა და თბებოდა. უთხრეს: „შენც მისი მოწაფეთაგანი არა ხარ?“ უარყო და თქვა: „არა ვარ.“

26 მღვდელმთავრის ერთმა მონათაგანმა, პეტრემ რომ ყური ჩამოათალა, იმის ნათესავმა, უთხრა: „განა მასთან ერთად არ გნახე ბალში?“

27 პეტრემ კვლავ უარყო და მყისვე მამალმა იყივლა.

მათ.27,74. მარ.14,72.

პილატეს სამსჯავროზე

28 კაიაფასგან იესო პრეტორიაში წაიყვანეს. ადრე იყო და პრეტორიაში არ შესულან, რათა არ გაუწმიდურებულიყვნენ, რომ ჰასექის ჭამა შესძლებოდათ. მათ.27,2. მარ.15,1. ლუკ.22,66.

29 გამოვიდა პილატე მათთან გარეთ და თქვა: „რა ბრალსა სდებთ ამ კაცს?“

30 მიუგეს და უთხრეს: „ეს რომ ბოროტის მოქმედი არ იყოს, არ გაღმოგცემდით.“

31 უთხრა მათ პილატემ: „წაიყვანეთ თქვენთან და მსჯავრი დასდეთ თქვენი რჯულის მიხედვით.“ უთხრეს მას იუდეველებმა: „ჩვენ ნება არა გვაძეს ვინმე მოვკლათ.“

32 (რათა აღსრულდეს იესოს სიტყვა, რომელიც თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით უნდა მომკვდარიყო.)

მათ.20,19.

33 პილატე კვლავ შევიდა პრეტორიაში, იესოს მოუხმო და უთხრა: „შენა ხარ იუდეველთა მეფე?“ მათ.27,11. მარ.15,2. ლუკ.23,3.

34 მიუგო იესომ: „შენით ამბობ ამას, თუ სხვებმა გითხრეს ჩემზე?“

35 მიუგო პილატემ: „განა მე იუდეველი ვარ? შენმა ერმა და მღვდელმთავრებმა გაღმომცეს შენი თავი. რა ჩაიდინე?“

36 მიუგო იესომ: „ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა. ჩემი სამეფო რომ ამ წუთისოფლისა ყოფილიყო, მაშინ ჩემი მსახურნი იბრძოლებდნენ, რომ იუდეველებს ხელში არ ჩავირდნოდი. არა, ჩემი სამეფო არ არის სააქაო.“ დან.2,44.

37 უთხრა მას პილატემ: „ესე იგი, მეფე ხარ.“ მიუგო იესომ: „შენ თავად ამბობ, რომ მეფე ვარ. მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფლელში, რომ ჭეშმარიტება დავამოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებიდანაა, ისმენს ჩემს ხმას.“ 1ტიმ.6,13.

38 უთხრა მას პილატემ: „რა არის ჭეშმარიტება?“ ეს რომ თქვა, კვლავ გამოვიდა იუდეველებთან და უთხრა მათ: „ვერავითარ დანაშაულს ვერ ვპოულობ მასში.“

39 ხომ გაქვთ ჩვეულება, რომ ჰასექზე ერთი გაგითავისუფლოთ. გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ იუდეველთა მეფე?

მათ.27,15. მარ.15,6. ლუკ.23,17.

40 მაშინ კვლავ აყვირდნენ და თქვეს: „ეს კი არა, ბარაბა.“
ბარაბა კი ავაზაკი იყო. საქ.3,14.

თ ა ვ ი 19

ჯვარცმა

1 მაშინ წაიყვანა პილატემ იესო და გააშოლტვინა.

მათ.27,26. მარ.15,15.

2 ჯარისკაცებმა ეკლის გვირგვინი დაწინეს და თავზე დააღეს, და ძოწეული მოასხეს.

3 მიღიოდნენ მასთან და ეუბნებოდნენ: გიხაროდესო, იუდეველთა მეფევ, და სახეში სცემდნენ.

4 კვლავ გამოვიდა პილატე გარეთ და უთხრა მათ: „აპა, მე გამომყავს იგი თქვენთან, რათა იცოდეთ, რომ ვერავითარ დანაშაულს ვერ ვპოულობ მასში.“ იოან.18,38. საქ.3,13.

5 მაშინ იესო გამოვიდა გარეთ, ეკლის გვირგვინით და ძოწეულით შემოსილი, და უთხრა მათ პილატემ: „აპა, კაცი!“

6 როდესაც იხილეს იგი მღვდელმთავრებმა და მსახურებმა, იყვირეს: „ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!“ უთხრა მათ პილატემ: „თავად წაიყვანეთ და ჯვარს აცვით, ვინაიდან მე ვერ ვპოულობ მასში დანაშაულს.“ მათ.27,23. მარ.15,14. ლუკ.23,4. საქ.13,28.

7 მიუგეს იუდეველებმა: „ჩვენ გვაქვს რჯული და ჩვენი რჯულის მიხედვით იგი უნდა მოკვდეს, ვინაიდან თავი ლვთის ძედ გაიხადა. 2შx.18,20.

8 ეს სიტყვა რომ მოისმინა პილატემ, უფრო შეშინდა,

9 კვლავ შევიდა პრეტორიაში და უთხრა იესოს: „საიდან ხარ?“ მაგრამ იესომ პასუხი არ გასცა. ეს.53,7. იოან.18,33.

10 უთხრა მას პილატემ: „მე არ მცემ ხმას? განა არ იცი, რომ ხელმწიფება მაქვს შენს ჯვარცმაზე?“

11 მიუგო იესომ: „არავითარი ხელმწიფება არ გექნებოდა ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა. ამიტომ მას, ვინც ჩემი თავი გაღმოგცა შენ, უფრო დიდი ცოდვა აქვს.“ ლუკ.22,53.

12 ამის შემდეგ პილატე ცდილობდა მის გათავისუფლებას, მაგრამ იუდეველები აყვირდნენ და თქვეს: „თუ ამას გაათავისუფლებ, არა ხარ მეგობარი კეისრისა, რაღვან, ვინც მეფედ ხდის თავს, კეისარს ეწინააღმდეგება.“

13 პილატემ რომ ეს სიტყვა მოისმინა, იესო გარეთ გაიყვანა და დაჯდა მსაჯულის ტახტზე, აღგილზე, რომელსაც ქვაფენილი ეწოდებოდა, ებრაულად კი გაბეთა.

14 პასექის პარასკევი იყო, იქნებოდა მეექვსე საათი, და უთხრა იუდეველებს: „აპა, თქვენი მეფე.“

15 მათ კი იყვირეს: „შორს, შორს, ჯვარს აცვი!“ პილატემ უთხრა: „თქვენი მეფე ვაცვა ჯვარს?“ მღვდელმთავრებმა უპასუხეს: „ჩვენ არ გვყავს მეფე, კეისრის გარდა!“

16 მაშინ გადასცა იგი მათ ჯვარზე საცმელად. და წაიყვანეს იესო.

17 წაიღო თავისი ჯვარი და გავიდა აღგილზე, რომელსაც ეწოდებოდა თხემი, ებრაულად კი გოლგოთა.

მათ.27,33. მარ.15,22. ლუკ.23,33. ებრ.13,12.

18 იგი ჯვარს აცვეს იქ. მასთან ერთად, აქეთ-იქით, ორი სხვა, შუაში კი – იესო.

იუდეველთა მეფე

19 პილატემ წარწერაც დაწერა და ჯვარზე დაამაგრა. დაწერილი იყო: „იესო ნაზარეველი, იუდეველთა მეფე“.

20 ბევრი იუდეველი კითხულობდა ამ წარწერას, რადგან იესოს ჯვარცმის აღგილი ახლოს იყო ქალაქთან და დაწერილი იყო ებრაულად, რომაულად და ბერძნულად.

21 უთხრეს იუდეველმა მღვდელმთავრებმა პილატეს: „ნუ სწერ: ‘იუდეველთა მეფე’, არამედ, მან თქვა: ‘იუდეველთა მეფე ვარ’.“

22 მიუგო პილატემ: „რაც დავწერე, დავწერე.“

წილისყრა კვართზე

23 ჯარისკაცებმა ჯვარს რომ აცვეს იესო, აიღეს მისი სამოსელი და გაყვეს ოთხ ნაწილად. თითოეულ ჯარისკაცს შეხვდა თავისი წილი და კვართი. კვართი არ იყო შეკერილი, თავიდან ბოლომდე ნაქსოვი იყო.

მათ.27,35. მარ.15,24. ლუკ.23,34.

24 უთხრეს ერთმანეთს: „ნუ დავხევთ, წილი ვყაროთ მასზე. გნახოთ, ვის შეხვდება.“ რათა აღსრულებულიყო წერილი: „გაინაწილეს ჩემი სამოსელი და წილი ჰემს ჩანსაცმელზე.“ ასე მოიქცნენ ჯარისკაცები.

ფსალ.21,19.

იესოს დედა

25 იესოს ჯვართან იღვნენ დედამისი, დედამისის და, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი.

ლუკ.2,35.

26 იესომ დაინახა იქ მდგომი დედა და მოწაფე, რომელიც უყვარდა. უთხრა დედას: „დედაკაცო, აპა, შენი ძე!“

27 შემდეგ მოწაფეს უთხრა: „აპა, დედაშენი!“ და მოწაფემ მაშინვე თავისთან წაიყვანა იგი.

იესომ განუტევა სული

28 ამის შემდეგ, იცოდა რა იესომ, რომ უკვე დამთავრდა ყველაფერი, წერილის აღსასრულებლად, თქვა: „მწყურია!“

ფსალ.68,22. მათ.27,48.

29 იქ ძმრით სავსე ჭურჭელი იღვა. ძმრით გაუღენთილი ღრუბელი წამოაცვეს უსუპს და პირთან მიუტანეს.

30 როცა მიიღო ძმარი იესომ, თქვა: „აღსრულდა!“ დახარა თვი და სული განუტევა.

31 რაკი პარასკევი იყო, შაბათისთვის გვამები რომ არ დარჩენილიყო ჯვარზე (ის შაბათი კი დიღი დღე იყო), იუდეველებმა სთხოვეს პილატეს, წვივები დაემტვრიათ მათთვის და ჩამოეხსნათ.

2შ.21,23.

32 მოვიდნენ ჯარისკაცები და მასთან ერთად ჯვარცმულებს წვივები დაუმტვრიეს, ერთსაც და მეორესაც.

33 იესოსთან მისულებმა როცა დაინახეს, რომ უკვე მომკვდარიყო, აღარ დაუმტვრიეს წვივები.

34 მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით გაუგმირა მას ფერდი და მყისვე გაღმოსკდა სისხლი და წყალი.

35 მხილველმა დაადასტურა ეს და მისი მოწმობა ჭეშმარიტია. მან იცის, რომ ჭეშმარიტებას ამბობს, რათა თქვენ ირწმუნოთ.

36 რაღვან ეს მოხდა, რათა აღსრულებულიყო წერილი: „მისი ძვალი არ შეიმუსრება.“

გამოს.12,46. რიცხ.9,12.

37 ასევე სხვა წერილიც ამბობს: „შეხედავენ მას, რომელიც განგმირეს.“

ზაქ.12,10. გამოცხ.1,7.

იესოს გვამის დაკრძალვა ახალ სამარხში

38 ამის შემდეგ იოსებ არიმათიელმა, რომელიც იესოს მოწაფე კი იყო, ოლონდ ფარულად, იუდეველთა შიშის გამო, სთხოვა პილატეს, რომ ჩამოეხევინებინა იესოს გვამი. პილატემ დართო ნება. მოვიდა იგი და ჩამოხსნა მისი გვამი.

მათ.27,57. მარ.15,43. ლუკ.23,50.

39 მოვიდა ნიკოდემოსიც, ერთხელ ლამით რომ მივიდა იესოსთან, და მოუტანა ასიოდე ლიტრა სმირნისა და ალოეს ნაზავი.

იოან.3,2;7,50.

40 აიღეს და შეახვიეს იესოს გვამი ტილოში ნელსაცხებელთან ერთად, როგორც მიღებულია იუდეველთა შორის დამარხვისას.

41 იმ ადგილას, საღაც ჯვარს აცვეს იგი, ბალი იყო, ბალში კი – ახალი სამარხი. რომელშიც ჯერ არავინ ჩაესვენებინათ.

42 იქ ჩაასვენეს იესო, იუდეველთა პარასკევის გამო, რაღვან ახლოს იყო სამარხი.

თ ა ვ ი 20

ცარიელი სამარხი

1 ერთშაბათს, გარიურაჟზე, როცა ჯერ ისევ ბნელოდა, მივიდა მარიამ მაგდალელი სამარხთან და ხედავს, რომ ლოდი გადაგორებულია სამარხიდან.

მათ.28,1. მარ.16,1. ლუკ.24,1.

2 გაიქცა და მივიდა სიმონ-პეტრესთან და სხვა მოწაფესთან, რომელიც უყვარდა იესოს, და უთხრა მათ: „უფალი წაულიათ სამარხიდან და არ ვიცით, სად დაასვენეს.“

3 მაშინვე გამოვიდა პეტრე და სხვა მოწაფე და მივიღნენ სამარხთან.

4 ორივენი ერთად მირბოდნენ, მაგრამ მეორე მოწაფე პეტრეზე სწრაფად გაიქცა და პირველი მივიდა სამარხთან.

5 დაიხარა და დაინახა დაგდებული ტილოები, მაგრამ არ შესულა.

6 მის შემდეგ მივიდა სიმონ-პეტრეც. შევიდა სამარხში და დაინახა დაწყობილი ტილოები. ლუკ. 24,12.

7 სულარა, თავზე რომ ჰქონდა შემოხვეული, იმ ტილოებთან კი არ იდო, არამედ ცალკე იდო, ერთ აღგილას, დახვეული.

8 მაშინ შევიდა სხვა მოწაფეც, სამარხთან პირველად რომ მივიდა, და იხილა და იწამა,

9 რაღგან აქამდე არ იცოდნენ წერილიდან, რომ იგი მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო. ფსალ. 15,10. ეს. 53,11. იოან. 2,1.

10 მოწაფეები კვლავ წავიღნენ თავისთვის.

აღმდგარი უფალი ეცხადება მარიამ მაგდალელს

11 მარიამი კი იდგა სამარხს გარეთ და ტიროდა. მტირალი სამარხისაკენ დაიხარა მათ. 28,1. მარ. 16,5.

12 და დაინახა თეთრებში შემოსილი ორი ანგელოზი, მსხდო-მარენი ერთი თავთით და მეორე ფერხთით, საღაც იესოს გვამი ესვენა.

13 უთხრეს მას: „დედაკაცო, რატომ სტირი?“ მან მიუგო: „ჩემი უფალი წაიღეს და არ ვიცი, სად დაასვენეს.“

14 ამის თქმისას მოტრიალდა და იხილა მდგომარე იესო. მაგრამ ვერ იცნო, რომ იესო იყო. მათ. 28,9. მარ. 16,9.

15 უთხრა მას იესომ: „დედაკაცო, რატომ სტირი, ვის ეძებ?“ მას მებალე ეგონა იგი და უთხრა: „ბატონო, თუ შენ წაიღე, მითხარი, სად დაასვენე, და მე წამოვიღებ.“

16 უთხრა მას იესომ: „მარიამ!“ მოტრიალდა და ებრაულად უთხრა: „რაბუნი!“ (რაც ნიშნავს: მოძღვარო!)

17 იესომ უთხრა მას: „არ შემეხო, რაღგან ჯერ არ ავსულვარ მამასთან. წალი ჩემს ძმებთან და უთხარი: მე ავღივარ მამა-ჩემთან და მამათქვენთან, ჩემს ღმერთთან და თქვენს ღმერ-თთან.“ ფსალ. 21,23. მათ. 28,10. რომ. 8,29. ებრ. 2,11.

18 მარიამ მაგდალელი მივიდა და აუწყა მოწაფეებს, რომ უფალი იხილა და ეს უთხრა მას.

ორჯერ ეცხადება შეკრებილ მოწაფეებს

19 იმავე დღის სალამოუამს, შვიდეულის პირველ დღეს, როდესაც იუდეველთა შიშის გამო დაკეტილი იყო კარი, საღაც მოწაფეები იყვნენ, მივიდა იესო და დაღვა შუაში, და უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენდა!“ მარ. 16,14. ლუკ. 24,36. საქ. 13,31. 1კორ. 15,5,7.

20 ეს რომ თქვა, უჩვენა ხელებიცა და ფერდიც. მოწაფეებმა გაიხარეს უფლის ხილვით.

იოან.16,22.

21 კვლავ უთხრა მათ იესომ: „მშვიდობა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ.“

იოან.17,18.

22 ეს რომ თქვა, შეუბერა და უთხრა: „მიიღეთ სულიწმიდა.“

23 ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევებათ, ვისაც დაუკავებთ, დაეკავებათ.“

მათ.16,19;18,18.

24 თომა, ერთი თორმეტთაგანი, ტყუპისცალად წოდებული, არ იყო მათთან, როცა იესო მივიღა.

25 უთხრეს მას სხვა მოწაფეებმა: „ჩვენ ვიხილეთ უფალი.“ მაგრამ მან უთხრა: „თუ მის ხელებზე ნალურსმნევს არ ვნახავ და ნალურსმნევში საკუთარ თითს არ ჩავყოფ და მის ფერდში – საკუთარ ხელს, არ ვიწამებ!“

იოან.19,34.

26 რვა დღის შემდეგ მისი მოწაფეები კვლავ შინ იყვნენ და თომაც მათთან იყო. შევიდა იესო კარჩაკეტილში, დადგა შუაში და თქვა: „მშვიდობა თქვენდა.“

27 შემდეგ უთხრა თომას: „მოიტა აქ შენი თითი და ნახე ჩემი ხელები. მოიტა შენი ხელი და ჩაღე ჩემს ფერდში. ურწმუნო კი ნუ იქნები, მორწმუნე იყავ.“

28 მიუგო თომამ და უთხრა მას: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“

29 უთხრა მას იესომ: „შენ მირწმუნე, იმიტომ, რომ მიხილე. ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და სწამთ.“

1პეტ.1,8. 2კორ.5,7.

30 მოწაფეების წინაშე ბევრი სხვა ნიშანიც მოიმოქმედა იესომ, რაც ამ წიგნში არ დაწერილა.

იოან.21,25.

31 ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღვთისა, და რათა მორწმუნებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით.

იოან.3,15. რომ.15,4.

თ ა ვ ი 21

იესო ეცხადება შვიდ მოწაფეს ტიბერიის ზღვაზე

1 ამის შემდეგ კვლავ გამოეცხადა იესო მოწაფეებს ტიბერიის ზღვაზე. ასე გამოეცხადა მათ:

მათ.28,7.

2 ერთად იყვნენ სიმონ-პეტრე, ტყუპისცალად წოდებული თომა, ნათანაელი გალილეის კანალან, ძენი ზებედესნი, და ორი სხვა მის მოწაფეთაგანი.

ლუკ.24,16.

3 უთხრა მათ სიმონ-პეტრემ: „მე სათევზაოდ მივდივარ.“ მიუგეს: „ჩვენც წამოგყვებით.“ გავიდნენ და ჩასხდნენ ნავში. იმ ღამეს ვერაფერი დაიჭირეს.

4 გათენდა და, აპა, იესო დგას ნაპირზე, მოწაფეებმა კი არ იცოდნენ, რომ ეს იესო იყო.

5 უთხრა მათ იესომ: „შვილებო, გაქვთ რაიმე საჭმელი?“ მიუგეს მას: „არა.“

6 უთხრა მათ: „ისროლეთ ბადე ნავის მარჯვენა მხარეს და იპოვით.“ ისროლეს და ველარ გამოათრიეს თევზის სიმრავლის გამო.

7 მოწაფემ, რომელიც უყვარდა იესოს, უთხრა პეტრეს: „ეს უფალია.“ სიმონ-პეტრემ რომ გაიგონა, უფალია, მოსასხამი მოიხვია, რადგან შიშველი იყო, და ზღვაში გადაეშვა.

8 სხვა მოწაფეები კი პატარა ნავით მოვიდნენ, რადგან შორს არ იყვნენ ხმელეთიდან, დაახლოებით ორას წყრთაზე. გამოათრიეს ბადე თევზებიანად.

9 ხმელეთზე რომ გამოვიდნენ, ნახეს დაწყობილი ნაკვერჩხლები და თევზი, მათზე დადებული, და პური.

10 უთხრა მათ იესომ: „იმ თევზისა მოიტანეთ, ახლა რომ დაიჭირეთ.“

11 სიმონ-პეტრე წავიდა და ხმელეთზე გამოათრია ბადე, სავსე ას ორმოცდაცამეტი დიდი თევზით და, სიმრავლის მიუხედავად, ბადე არ გახეულა.

12 უთხრა მათ იესომ: „მოღით, ისაუზმეთ.“ მოწაფეთაგან ვერც ერთმა ვერ გაძედა ეკითხა: ვინ ხარო, რადგან იცოდნენ, რომ უფალი იყო.

13 მოვიდა იესო, აიღო პური და მისკა მათ, ასევე თევზიც.

საჭ.10,41.

14 ეს უკვე მესამედ გამოეცხადა იესო მოწაფეებს მას შემდეგ, რაც მკვდრეთით აღდგა.

სამჯერ ეკითხება იესო პეტრეს: გიყვარვარ?

15 მას შემდეგ, რაც ისაუზმეს, იესომ უთხრა სიმონ-პეტრეს: „სიმონ იოანესავ, ამათზე მეტად გიყვარვარ?“ უთხრა: „კი, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ.“ უთხრა: „აძოვე ჩემი კრავები.“

16 კვლავ უთხრა მეორედ: „სიმონ იოანესავ, გიყვარვარ?“ უთხრა: „კი, უფალო, შენ იცი, რომ მიყვარხარ.“ უთხრა მას: „დამწყსე ჩემი ცხვრები.“ საჭ.20,28. პეტ.5,2.

17 მესამედ უთხრა: „სიმონ იოანესავ, გიყვარვარ?“ პეტრე შეწუხდა, მესამედ რომ ჰკითხა: გიყვარვარ? და უთხრა: „უფალო, შენ ყველაფერი იცი: იცი, რომ მიყვარხარ!“ უთხრა იესომ: „აძოვე ჩემი ცხვრები.

18 ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: სანამ ახალგაზრდა იყავი, შენ თვითონ შემოირტყამდი ხოლმე სარტყელს და მიღიოდი, სადაც გსურდა. როდესაც მოხუცდები, გაშლი ხელებს და სხვა შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს იქ, სადაც არ გსურს.“ პეტ.1,14.

19 ეს თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით განადიდებდა ღმერთს. ეს რომ თქვა, უთხრა: „მომყევი.“

შენ მე მომყევი

20 მოტრიალდა პეტრე და დაინახა, რომ მოწაფე, რომელიც უყვარდა იესოს, მოსდევდა მათ, სწორედ ის, მკერდზე რომ მიეკრა სერობისას და ჰკითხა: უფალო, ვინ გაგცემს? იოან.13,23.

21 რომ დაინახა, უთხრა იესოს პეტრემ: „უფალო, ამას რა?“

22 მიუგო იესომ: „თუ მე მსურს, რომ დარჩეს ჩემს მოსვლამდე, შენ რა? შენ მე გამომყევი.“


23 და გავრცელდა ეს სიტყვა ძმებს შორის, რომ ის მოწაფე არ მოკვდებოდა. მაგრამ იესოს არ უთქვამს მასზე, არ მოკვდება, არამედ: თუ მე მსურს, რომ დარჩეს, ჩემს მოსვლამდე, შენ რა?

ჭეშმარიტი დამოწმება მოწაფისა

24 ეს არის ის მოწაფე, რომელიც ამოწმებს ამას და რომელ-მაც დაწერა ეს, და ვიცით, რომ მინი მოწმობა ჭეშმარიტია.

იოან.19,35.

25 კიდევ ბევრი სხვაც არის, რაც იესომ მოიმოქმედა, რომელიც დაწვრილებით რომ დაწერილიყო, ვფიქრობ, თვით ქვეყნიერებაც კი ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს. ამინ. იოან.20,30.



Gospel of John in Georgian

ISBN: 91-88394-57-3

© ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, 1980, 1993

©Institute for Bible Translation, 1980, 1993

Stockholm